ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + ილია II

ოქროს ხანა 8 ლარი

სამტრამეულის პირველი ტომი

პარასკევი, 11 იანვარი, 2013 №8 (6009) ფასი: 30 თეთრი

ოქრუაშვილს პატიმრობა გირაოთი შეუცვალეს, მაგრამ მაინც ციხეში დატოვეს

გვ.5

მესაზღვრეები უვნებლად გადარჩნენ

გვ.5

გვ.3

თეა წულუკიანი: „ზურაბ ადეიშვილს აუცილებლად ვიპოვით“

გვ.3

კოტე კუბლაშვილი „ქართულ ოცნებას“ აფრთხილებს

ქართული სასაზღვრო საგუშაგო ზვავმა მოიყოლა

გვ.4

გვ.6

ნანა დევდარიანი: „ივანიშვილის მინისტრებმა საკუთარ თავს მაღალი პრემიები გამოუწერეს“

თამაზ ხუბუა: „აფხაზეთის მთავრობა უნდა გადახალისდეს“

გვ.4

გვ.5

ლადო პაპავა: „ბიუჯეტი გამჭვირვალე გახდა“

ვინ გააკონტროლებს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ტვირთბრუნვას

გვ.3

3 თენგიზ გუნავა გუბერნატორად დაინიშნა

6 დღეს საქართველოში გამოიდარებს

2 ზაზა გოროზია საქართველოში არ იმყოფება

7 თბილისთან ახლოს სათბურები გაშენდება

9 771987 938006

რატომ არ ჩასვეს ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმართა სიაში?!

გულიკო ბალაძე

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტი პოლიტდევნილთა და პოლიტპატიმართა საქმეების განხილვას განაგრძობს;

თუმცა, ამ შემთხვევაში კომიტეტი სხვა რეჟიმით იმუშავებს. კომიტეტი საქმეებს შეისწავლის, დასკვნებს მოამზადებს და სასამართლოს ან პროკურატურას გადაუგზავნის გარკვეული რეკომენდაციით.

რატომღაც ზოგიერთი პირის საქმე იმ სიაში არ აღმოჩნდა, რომელიც არასამთავრობოებმა პარლამენტს მიაწოდეს და რომლის მიხედვითაც პარლამენტმა მთელ რიგ პიროვნებებს პოლიტპატიმრისა და პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭა. მათ შორისაა, ირაკლი დოკვაძის საქმე. ირაკლი დოკვაძე არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძოდ კი, ჰელსინკის კავშირის მიერ წარდგენილ პოლიტპატიმართა სიაში არ იყო, ამით პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიაც გაკვირვებულია.

2012 წელს არასამთავრობოების მიერ შექმნილმა კომისიამ (რომელშიც ეკა ბესელიაც შედიოდა) ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმრად აღიარა. ამის თაობაზე ინფორმაცია გაზეთ „ასავალ-დასავალშიც“ დაიბეჭდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელმა კომისიამ 30 წლით პატიმრობამისჯილი ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმრად აღიარა. აღიარება მას შემდეგ მოხდა, რაც კომისიამ გულდასმით გამოიკვლია საქმის დეტალები და იქ უამრავი ფალსიფიკაცია და დარღვევა აღმოაჩინა. პრაქტიკულად, არ არსებობს დოკვაძის მიერ დანაშაულის ჩადენის ამსახველი მტკიცებულებები. ხოლო მისი პოლიტიკური აქტიურობა საფუძველს იძლევა, დოკვაძის დაპატიმრება პოლიტიკური ინტერესთა ჭრილში განვიხილოთ“, – აცხადებენ კომისიის წევრები, რომლებიც ცნობილი ადვოკატები და საქართველოში მოქმედი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ბრძანდებიან“.

ზემოთ დასკვნა და მთელი დოკუმენტაცია, როგორც ირაკლი დოკვაძის დედა, ლეილა დოკვაძე აცხადებს, პარლამენტს გადაეგზავნა და ირაკლი დოკვაძე უნდა ყოფილიყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პარლამენტისთვის მიწოდებულ სიაში.

ირაკლი დოკვაძის დედა, ლეილა დოკვაძე აცხადებს, რომ ირაკლის მიმართ ძალიან დიდი უსამართლობა იქნა ჩადენილი.

– ქალბატონო ლეილა, პარლამენტისთვის მისაწოდებელ სიაში ირაკლი ვის უნდა შეეყვანა?

– ნანა კაკაბაძემ რომ სია ჩაიტანა, იმ სიაში ირაკლიც უნდა ყოფილიყო. გვიან გავიგე, რომ იმ სიაში ირაკლი არ იყო. როცა დავურეკე ნანა კაკაბაძეს და ვკითხე, რატომ არ იყო ირაკლი სიაში, მითხრა, სიაში არ ჩამიხედავსო. შენ ჩაიტანე და არ ჩაგიხედავს-მეთქი?

მრავალი დოკუმენტია, ირაკლის საქმესთან დაკავშირებით, რომლებიც პარლამენტს გავუგზავნეთ. ასევე ხელმოწერებია შეგროვებული, ირაკლის გათავისუფლების მოთხოვნით. განცხადება ხელმოწერებთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს გავუგზავნეთ. ესეც მიიღეს. ყველა დოკუმენტი გაგზავნილია პარლამენტში. ამხელა უსამართლობა, რაც ირაკლის წინაშე ჩაიდინეს, მე არ ვიცი. მაგათ სინდისზე იყოს. ეკა ბესელიას გავუგზავნე ის ხელმოწერებიც, რომლებიც შეაგროვეს უცხოეთში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ირაკლის გათავისუფლების მოთხოვნით.

მე ერთი რამის თქმა შემიძლია, ირაკლი დოკვაძეს არ უსარგებლია სამართლიანი სასამართლოთი. სასამართლოში საქმის განხილვას ვესწრებოდი და იქ ბევრი გასაოცარი რამ ვნახე. ამ საქმეში ორი დაზარალებულია. ცოლქმარი გოჩა კვირჭიშვილი და ელზა გულიაშვილი. სასამართლო პროცესზე ელზა გულიაშვილის დები აცხადებდნენ, რომ ირაკლი დოკვაძე კი არ უნდა ყოფილიყო საბრალდებო სკამზე, არამედ მათი სიძე და დედამთილი.

ელზა გულიაშვილის ახლობლები ჩანაწერებს მასმენინებდნენ, სადაც ელზა გულიაშვილი აცხადებდა: ირაკლის არ დაურტყამს, არა, არაო.

სასამართლო კი მიკერძოებული ჩანდა, რადგან არ დანიშნა ექსპერტიზა ელზა გულიაშვილის შერაცხადობისა თუ შეურაცხადობის გასარკვევად და სასამართლოზე დასაკითხად მაშინ, როცა ბრალდებული ირაკლი დოკვაძე დაჟინებით მოითხოვდა ელზა გულიაშვილის დაკითხვას.

რაც ყველაზე გასაოცარი იყო, ელზა გულიაშვილის ადვოკატმა ბრალდებას მხარი არ დაუჭირა და, ფაქტობრივად, ირაკლი დოკვაძის გათავისუფლება მოითხოვა.

მოკლედ, ეს საქმე მხოლოდ ერთი პირის განთქმაზეა აგებული. წარმოდგენილი „მტკიცებულებები“ კი ვერაფერს ადასტურებს. ვფიქრობ, ნორმალურ სიტუაციაში მიუკერძოებელი სასამართლოს პირობებში ელზა გულიაშვილი იტყვის იმას, რა ჩანაწერებსაც მე მისი ახლობლები მეუბნებოდნენ და მასმენინებდნენ, რომ ირაკლი დოკვაძეს მისთვის არ დაურტყამს. თუ ვინ დაარტყა, ვინ იყო დამნაშავე ფალიაშვილის ქუჩაზე კვირჭიშვილების ბინაში მომხდარ დანაშაულში, ბოლოს გაირკვევა, მაგრამ უდანაშაულოდ ადამიანის 30 წლით საკაშვილის ციხეში ჩასმა და სააკაშვილის შემდეგაც იქ დატოვება, უდიდესი დანაშაულია.

თუმცა, ახლა გაჩნდა შანსი, რომ ირაკლი დოკვაძის საქმეც შეისწავლონ პარლამენტში, რადგან პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა ახალი საქმეების შესწავლა იწყება.

თუ რატომ არ მოხდა ირაკლი დოკვაძის ჩასმა პოლიტპატიმართა სიაში და ვის საქმეებს შეისწავლის პარლამენტი მეორე ეტაპზე, ამის თაობაზე საუბრობს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია.

– ქალბატონო ეკა, პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა ახალ სიაზე მუშაობა რამ განაპირობა?

– არასწორადაა განმარტებული და ინტერპრეტირებული ის, რომ თითქოს ახალი სია დგება. აქ საუბარია არა ახალ სიაზე, არამედ დამატებით იმ საქმეების შესწავლაზე, რომლებიც შემოვიდა ჩემს სახელზე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში, სადაც ადამიანები ითხოვენ შესწავლილ იქნეს მათი საქმე, მიუთითებენ მათ დარღვეულ უფლებებზე. არის განცხადებები, როგორც უკანონოდ დაკავების, ასევე უკანონოდ ქონების წართმევისა და პოლიტიკური დევნის თაობაზე. მათ შორისაა, ქვეყნიდან იძულებით გადაადგილებული და გაქცეული პირების საქმეები. ისინი აცხადებენ, რომ მათი უფლებები დაირღვა და მოხდეს ამაზე რეაგირება. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომელიმე განცხადება გადავდოთ და არ შევისწავლოთ. ბოლო ორი თვის განმავლობაში 3 ათასზე მეტი განცხადება მივიღე და ამ საქმეებს ვსწავლობთ.

– ანუ ერთდროულად ამ განცხადებების შესწავლა ვერ მოხერხდა და ამიტომ გახდა საჭირო, ეს პროცესი გაგრძელებულიყო?

– რასაკვირველია, იმიტომ რომ ძალიან ბევრი საქმეა. საქმეების შესწავლა დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საქმეების შესწავლის შემდეგ, დავდებთ დასკვნას და რეკომენდაციით მივმართავთ სასამართლოს, ან გადავუგზავნით პროკურატურას, სადაც მათი ჩართვა საჭირო იქნება.

– თითოეული საქმე დეტალურად განიხილება? რა კრიტერიუმებით მოხდება პოლიტპატიმრისა და პოლიტდევნილის სტატუსის მინიჭება?

– არანაირი სტატუსის მინიჭება არ ხდება. ხდება მხოლოდ საქმეებისა და საჩივრების შესწავლა. როცა საჩივრებს შევისწავლით და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასკვნა გაკეთდება, შესაბამისად, შემდეგ ამაზე მოვახდენთ რეაგირებას. პარლამენტი არ არის საგამოძიებო სტრუქტურა, ეს არ არის პროკურატურა და სასამართლო და ჩვენ ვერ დავიწყებთ სარჩელების გადასინჯვას. ჩვენ ვახორციელებთ საპარლამენტო კონტროლს. პირველ ეტაპზე ჩვენს თავზე ავიღეთ ის ფუნქცია, რომ პოლიტპატიმრების გათავისუფლება მომხდარიყო. შემდეგ ეტაპზე ჩვენ ჩავრთავთ პროკურატურას და სასამართლოს იმისათვის, რომ იმ ადამიანებს, ვისაც თავიანთი უფლებები დაერღვათ, ამ ინსტრუმენტების გამოყენებით აღდგეს დარღვეული უფლებების აღდგენა.

– თქვენ ბრძანეთ, რომ რამდენიმე რეზონანსული საქმეა იმ განცხადებებში წარმოდგენილი, რომელიც თქვენს კომიტეტში შემოვიდა. ხომ არ გვეტყოდით, რომელ საქმეებზეა საუბარი?

– არის რამდენიმე საქმე, რომელიც არის რეზონანსული. მაგალითად, არის მამუკა ნიკოლეიშვილის, ვანო ჩხარტიშვილის, გოჩა ზასოხოვის, დავით გოგიას, ლევან ქიძინიძის და სხვათა საქმეები.

– ამნისტიის შესახებ კანონი გავრცელდება იმ პირებზე, რომელთა საქმეს ახლა შეისწავლით?

– კანონი ვრცელდება 2 ოქტომბრამდე ჩადენილ დანაშაულობებზე.

– რომელ საქმეებსაც შეისწავლით, 2 ოქტომბრამდე ხომ იქნება ჩადენილი და მომხდარი?

– 2 ოქტომბრამდე რომელიც იქნება ჩადენილი, ყველა იმ ქმედებაზე, ამნისტია რასაც ითვალისწინებს, იმ მუხლებზე გავრცელდება.

– ქალბატონო ეკა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საზოგადოებრივმა კომისიამ. რომელშიც თქვენც შედიოდით, 2012 წელს შეისწავლა ირაკლი დოკვაძის საქმე...

– კი...

– და მას პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ის იყო პარლამენტში წარდგენილ პოლიტპატიმართა სიაში, მაგრამ შემდეგ სიიდან ამოღებულ იქნა. ირაკლი დოკვაძე რატომ იქნა ამოღებული პოლიტპატიმრების სიიდან?

– არა, სიიდან არ ამოგვიღია. ნამდვილად ვადასტურებ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემდგარმა კომისიამ იმუშავა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა საქმეებზე და იმ საქმეებზე მიიღო გადაწყვეტილება. მათ შორის, იყო ირაკლი დოკვაძეც. მე პირადად მხარს ვუჭერდი ირაკლი დოკვაძის პოლიტპატიმრად ცნობას ნამდვილად, რადგან ვიცი ამ საქმის შინაარსი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, სიაში, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა პოლიტიკური პატიმრების თაობაზე ჰელსინკის ჯგუფის მიერ, ირაკლი დოკვაძე არ იყო. არც მასალები არ იყო ჩვენთან კომიტეტში შემოსული. ჩვენი წესების თანახმად, ჩვენ ვერ ვიხილავთ ისეთ საქმეებს, რომელთა შესახებ თვითონ განმცხადებელმა არ მოგვმართა და არ არის შემოსული ჩვენთან. ჩვენ ისე ვერ მივანიჭებთ ვერავის ამ სტატუსს თუ მასალები არ იქნება შემოტანილი. ჩვენთან კომიტეტში დოკვაძის საქმის მასალები გადმოგზავნილი არ იყო.

– ახლა დოკვაძის საქმე კომიტეტში შემოსული არის? ამჯერად როგორ მოხდება მისი საქმის შესწავლა და შეფასება?

– ამ ეტაპზე პარლამენტი ისვენებს. არ ვიცი, საქმე კომიტეტში შემოვიდა თუ არა. გადავამოწმებ და შემდეგ გეტყვით.

– ვინ უნდა შემოიტანოს საქმე?

– ან უნდა შემოეტანა არასამთავრობო ორგანიზაციას, ან თვითონ მხარეს იმ ვადაში, რაც იყო დადგენილი. ახლა საქმე თუ შემოვა, განსხვავებულ რეჟიმში მოხდება ამ საქმეების შესწავლა. კომიტეტი შეისწავლის, დასკვნას მოამზადებს და რეკომენდაციას გააკეთებს, ამ საქმეებს შემდეგ რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს.

– ირაკლი დოკვაძის დედა შეწუხებულია მომხდარის გამო. იცის, რომ ირაკლი დოკვაძის საქმის თაობაზე თქვენთვის ცნობილია და ვერ ხვდება, რატომ მოხდა ასე.

– რა მოხდა, მე არ ვიცი, მაგრამ მასალები არ არის შემოსული.

– იმდენად, რამდენადაც იცნობთ, თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ამ საქმეს?

– მხოლოდ მე არ ვიღებ გადაწყვეტილებას. არ შეიძლება ისე წარმოჩნდეს, რომ პარლამენტში მხოლოდ მე ვიღებ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტი, პირველ რიგში, ხმების უმრავლესობით. ამიტომ მე რას ვფიქრობ, ერთი ადამიანი, ვთქვი, მაგრამ კენჭისყრის დროს გადაწყვეტილება მიიღება უმრავლესობით. ამიტომ წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

როგორც გავარკვიეთ, ლეილა დოკვაძემ ირაკლი დოკვაძის საქმე პარლამენტის წევრ ბიძინა გუჯაბიძის მეშვეობით მიაწოდა პარლამენტს. ბიძინა გუჯაბიძის მეშვეობით მიაწოდეს პარლამენტს და დღეს ის ნამდვილად ადამიანის უფლებათა კომიტეტში უნდა იდოს.

უახლოეს დღეებში ირაკლი დოკვაძის ადვოკატი დავით კორკოტაშვილი საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართავს ირაკლი დოკვაძის საქმის შესწავლის მოთხოვნით.

როგორც ლეილა დოკვაძე აცხადებს, მის შვილს გათავისუფლების შემდეგ, თავად უნდოდა საქმის ხელახალი გამოძიება მოეთხოვა მთავარი პროკურატურისთვის, მაგრამ რადგან გაუგებარი მიზეზების გამო პოლიტპატიმართა სიაში ვერ მოხდა და პარლამენტის შესაბამისი დადგენილებით ვერ გათავისუფლება, გადაწყვიტეს, რომ უახლოეს დღეებში ამას ის თავისი ადვოკატის მეშვეობით გააკეთებს.

რიჩარდ ნორლანდი ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა

აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი ყოფილ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა.

ამერიკის საელჩოს ინფორმაციით, ელჩმა ყოფილ პრეზიდენტს ახალი წელი მიულოცა და ჯანმრთელობა და ბედნიერება უსურვა.

„პრეზიდენტმა შევარდნაძემ აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, აგრეთვე ცივი ომის მშვიდობიანად დასრულებაში საკვანძო როლი შეასრულა. ჩემთვის პატივი იყო, რომ მასთან სტუმრობის საშუალება მომეცა. ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები საბჭოეთის ისტორიის ბოლო პერიოდის შესახებ, როდესაც მოსკოვში დიპლომატად ვმსახურობდი, აგრეთვე საქართველოს ისტორიისათვის მძიმე პერიოდის 1993 წლის შესახებ, როდესაც საქართველოში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისიას ვხელმძღვანელობდი“, – განაცხადა ნორლანდმა.

პირველი

ზაზა გოროზია საქართველოში არ იმყოფება

სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია საქართველოში არ იმყოფება.

როგორც „პირველს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა და გოროზიასთან დაახლოებულმა პირმა განუცხადა, ზაზა გოროზია საქართველოში, დაახლოებით, ორ კვირაში დაბრუნდება.

მისივე თქმით, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პოსტის დატოვებაზე გოროზიაც ფიქრობდა, ამიტომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

„რამდენიმე კვირის წინ ზაზა გოროზია საქმიანი ვიზიტით საფრანგეთში იმყოფებოდა, საიდანაც დაბრუნდა, მაგრამ ცოტა ხსნის წინ ასევე საქმიანი ვიზიტით საზღვარგარეთ გაემგზავრა, ოღონდ არა – ევროპულ ქვეყანაში, თუმცა ისე გამოვიდა, რომ ის უკვე გუბერნატორი აღარაა“, – განაცხადა გოროზიასთან დაახლოებულმა პირმა.

მისივე განცხადებით, ყოფილი გუბერნატორი საქართველოს დატოვებას არ აპირებს, რადგან აქ ორსული ცოლი ჰყავს.

პირველი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვინ გააკონტროლებს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ტვირთბრუნვას

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ

საქართველო-რუსეთის საზღვარზე ტვირთბრუნვის

მონიტორინგის საკითხზე უფრო კონკრეტული საუბარი მალე შეგვეძლება.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერ იმაზე მეტ დეტალზე ვერ ისაუბრებს, ვიდრე საზოგადოებისთვის არის ცნობილი.

– ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ. ამ საკითხს ვსწავლობთ და მალე, ალბათ, შეგვეძლება უფრო კონკრეტული პასუხის გაცემა, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

როგორც ცნობილია, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე აცხადებდა, რომ კომპანია, რომელმაც მონიტორინგი უნდა განახორციელოს, გარკვეულია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

საქართველო-რუსეთის საზღვრებზე არსებულ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე მონიტორინგის განხორციელებას ითვალისწინებს საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმება, რომლის საშუალებით რუსეთმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება შეძლო. შეთანხმების თანახმად, მონიტორები უნდა განთავსდეს ლარსის, როკისა და ფსოუს პუნქტებზე.

2012 წლის აგვისტოში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მონიტორინგს შვეიცარიული კომპანია განახორციელებს, თუმცა, მაშინ კონკრეტული დეტალები არ დაზუსტებულა. კონკრეტულ დეტალებზე ჯერჯერობით საუბრისაგან თავს იკავებს ახალი ხელისუფლება, კონკრეტულად კი – საგარეო საქმეთა სამინისტრო.

თეა წულუკიანი: „ზურაბ ადეიშვილს აუცილებლად ვიპოვით“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ჩვენს კითხვაზე, მოხდება თუ არა მისი წინამორბედის ზურაბ ადეიშვილის წითელი ცირკულარით მოძებნა, აცხადებს, რომ, რასაკვირველია, ადეიშვილს წითელი ცირკულარით მოძებნიან და საქართველოში ჩამოიყვანენ.

იუსტიციის მინისტრი ასევე საუბრობს იმაზე, თუ

სად იმყოფება მისი ინფორმაციით ზურაბ ადეიშვილი. როგორც ჟურნალისტებს წულუკიანმა განუცხადა, მისი წინამორბედი ბუდაპეშტში იმყოფება და მას ხშირად ყოფილი მაღალჩინოსნებიც სტუმრობენ.

როგორც ცნობილია, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილს ბრალი ედება ციხის გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით.

სანამ ადეიშვილს ბრალს წაუყენებდნენ, ის მთავარ პროკურატურაში იყო დაბარებული თუმცა, არ გამოცხადდა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი არ გამორიცხავდა, რომ ადეიშვილი სამშობლოში დაბრუნებულიყო და გამოძიებისთვის ჩვენება მიეცა.

ზურაბ ადეიშვილს საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად 5 იანვარს შეუფარდა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ადეიშვილზე უახლოეს პერიოდში საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება, რაზეც ჩვენთან საუბარში განაცხადა იუსტიციის მინისტრმაც.

– დიახ, მისი მოძებნა მოხდება, რა თქმა უნდა. ნებისმიერი ბრალდებული, რომელიც არ ცხადდება საგამოძიებო ორგანოში არსებული სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედებით, იძულებით გამოცხადდება. ეს მექანიზმები ჩაირთვება იმისთვის, რომ მოძიებული იყოს, თუ სად იმყოფება ჩემი წინამორბედი, რადგან მე და ჩემი გუნდი მას მოუთმენლად ველოდებით საქართველოში. ბოლო ინფორმაციით, რომელიც მე მაქვს, ის ბუდაპეშტში იმყოფებოდა, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

კოტე კუბლაშვილი „ქართულ ოცნებას“ აფრთხილებს

ნათია ხურცილავა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა. კუბლაშვილი დღევანდელი სასამართლოსადმი უნდობლობის თაობაზე ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებს პოლიტიკურ გამოხდომებს უწოდებს.

როგორც კუბლაშვილმა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისა და უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძის მიერ გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას აღნიშნა: ასეთი გამოხდომებით ისინი სასამართლოში ვერაფერს მიაღწევენ.

წულუკიანმა განაცხადა, რომ სასამართლოს რეფორმის შემდეგ კოტე კუბლაშვილი ამ სისტემის ხელმძღვანელი შეიძლება არც იყოს.

– ეს არის მათი ოცნებები, რომლებსაც ახდენა არ უწერია. ის, რომ ისინი არ ენდობიან სასამართლოს, ჩვენთვის არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია, გვენდობოდეს ხალხი და არა – რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი ან მით უმეტეს მინისტრი ან პარლამენტის წევრი. ესაა ჩემი პასუხი ყველა იმ პოლიტიკურ გამოხდომაზე, რომელსაც ბოლო პერიოდში აქვს ადგილი. ასეთი გამოხდომებით სასამართლოში ვერავინ ვერაფერს მიაღწევს, – განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

ის ხელისუფლების წარმომადგენლებს ურჩევს, თუ სასამართლოში სასურველი შედეგის მიღწევა სურთ, პროკურატურა კვალიფიციური კადრებით დააკომპლექტონ.

– თუ მათ სურთ, სასამართლოდან მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მათთვის სასურველია, ამისთვის ერთადერთი რამის გაკეთებაა საჭირო – კარგად უნდა მოემზადონ, დაასაბუთონ თავიანთი პოზიციები, მოიტანონ სასამართლოში და იქ, როგორც იცით, შეჯიბრებითობაა და უნდა შეეჯიბრონ მეორე მხარეს, მოამზადონ კადრები, დასაბუთებული პოზიციები და მიიტანონ სასამართლოში. იქ კი, როგორც აღვნიშნე, ყველა საქმეზე მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი. მოსამართლეს მხოლოდ შეჯიბრებითობის საფუძველზე გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება. შეჯიბრებითობა ნიშნავს დაცვისა და ბრალდების კვალიფიკაციაზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს მარტივია და ამ გზაზე ჩვენ 2010 წლიდან დავდექით, როცა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იყო მიღებული, – განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

წულუკიანის განცხადებით, ის დღევანდელ სასამართლოს არ ენდობა და მოსამართლეთა დიდმა ჯგუფმა პროფესიული სინდისის შენარჩუნება ვერ შეძლო. როგორც ცნობილია, დაახლოებით მსგავსი განცხადება გააკეთა დავით საგანელიძემაც.

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარების საწინააღმდეგო არაფერი აქვს. კუბლაშვილის თქმით, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ძალიან ობიექტური სისტემაა შექმნილი და დიდი ინტერესით დაელოდება, როგორ განვითარდება ეს ინსტიტუტი.

– თქვენ იცით, რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ძალიან ობიექტური სისტემაა შექმნილი. იმედია, ეს სისტემა კარგად განვითარდება და ამას მე დიდი ინტერესით დაველოდები. სასამართლოს ამის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი შეიძლება ჰქონდეს. პირიქით, ჩვენ ყველას გარანტიას ვაძლევთ, რომ ორგანიზებულად მოხდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევა და პროცესის წარმართვა. როგორი ვერდიქტი იქნება გამოტანილი, ეს უკვე პროკურორისა და ადვოკატის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული და იმაზე, თუ რამდენად დაარწმუნებენ ისინი 12 მოქალაქეს თავიანთი პოზიციის სისწორესა და დასაბუთებულობაში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ გადადებულია საკითხი. ჩვენ ველოდებით ვენეციის კომისიის წევრებს, რომლებიც ჩამოვლენ საქართველოში და თავიანთ დასკვნას წარმოადგენენ. ორი ძირითადი საკითხია, რომელიც, ჩვენი აზრით, ჩარევას ნიშნავს სასამართლოს დამოუკიდებლობაში. დანარჩენ საკითხებში ჩვენ ვეთანხმებით, მეტიც, ჩვენც გვსურდა, რომ მსგავსი ცვლილებები გაგვეტარებინა, – განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

იუსტიციის სამინისტროში, მთავარი პროკურორის ინიციატივით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა პროექტი მომზადდა.

პროექტის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა ფართოვდება: ნაფიცი მსაჯულები იმ საქმეებსაც განიხილავენ, რომლებზეც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებს დაემატება მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეები. სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 110-114-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გარდა, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები იმ საქმეებსაც განიხილავენ, რომელთა მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისხლის სამართლის საქმეები ეხება:

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებულ თანამდებობის პირებს, რომლებსაც ეკავათ ან უკავიათ შესაბამისი თანამდებობა;

იმ პირებს, რომლებიც ბრალდებულნი არიან ზემოაღნიშნულ პირებთან ერთობლივად დანაშაულის ჩადენაში. კანონპროექტი საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის სახით პარლამენტს უკვე წარედგინა.

თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ სასამართლო რეფორმა მაინც ჩატარდება.

– მიუხედავად იმისა, როგორიც არ უნდა იყოს ჩემზე თუ ჩემს ოჯახზე თავდასხმები, პირიქით, ეს თავდასხმები კიდევ უფრო მააქტიურებს და ხელს მიწყობს, რომ რეფორმა მივიყვანოთ ბოლომდე, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

თეა წულუკიანი აიდი ბარათთან დაკავშირებით სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მართლმადიდებელ მოქალაქეთა კრებულს შეხვდა.

როგორც იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის მართლმადიდებელი მოქალაქეების იმ ჯგუფს ხვდება, რომელსაც უკიდურესად ანუხებს აიდი ბარათების თემა და თვლის, რომ ეს დოკუმენტი ზღუდავს მათ რელიგიურ თავისუფლებას და ხელყოფს მათი პირადი მონაცემების დაცვას, რაც, წულუკიანის თქმით, არის კონსტიტუციური უფლება.

– მოვედი, რომ მოვისმინო, რა არის ამ წუხილის საფუძველი. პასუხები დღეს ვერ იქნება, იმიტომ რომ მე ვარ ჯერჯერობით მოსმენის პროცესში ყველა იმ პრობლემის, რომელიც აიდი ბარათთან დაკავშირებით არსებობს. ეს მოსმენის სამუშაოა, რომელიც უნდა ჩატარებულიყო მანამდე, მაგრამ ეს არ ჩატარებულა წინა ხელისუფლების მიერ, ამიტომ მე მიწევს, ეს სამუშაო ჩავატარო ახლა, რომ გავიგო, არის თუ არა რაიმე გამოსასწორებელი. ამიტომ პასუხები დღეს ვერ იქნება, თუმცა, ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრაა, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

„მართლმადიდებელთა საორგანიზაციო კრებული“ ელექტრონული საბუთების ალტერნატივის შემოღებას ითხოვს.

შეხვედრაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 200-მდე ტაძარში შეკრებილ 30 000 ხელმომწერთა მოთხოვნა განიხილეს, რომელიც ეხება სხვადასხვა სააღმსარებლო საკითხებს, რომელთაგანაც ძირითადი ელექტრონულ მოწმობებს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, ხელმომწერთა მოთხოვნაა, შეწყდეს საქართველოს მოქალაქეებზე ადმინისტრაციული ძალადობა და ახალი საბუთების, ელექტრონული პირადობის მოწმობის, ბიომეტრიული პასპორტისა და პლასტიკური ბარათების აღება მოხდეს მხოლოდ ნებაყოფლობით, არასავალდებულო წესით, ასევე სახელმწიფოში ყველგან შენარჩუნდეს ფულადი ერთეულით გადახდა და განსხვავებული აზრის გამო მოქალაქეები სახელმწიფოსგან გარიყულნი არ აღმოჩნდნენ.

„მართლმადიდებელთა საორგანიზაციო კრებულის“ განცხადებით, მსგავსი მოთხოვნები დააკმაყოფილეს უკრაინაში, მოლდოვასა და საბერძნეთში და ათასობით ხელმომწერთა მოთხოვნას საქართველოშიც სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს, ახლო მომავალში ახალმა მთავრობამ საქმიანი ნაბიჯები უნდა გადადგას.

წმინდა დემეტრე თავდადებულის სახელობის ტაძრის წინამძღოლის მამა მალხაზ ყიფიანის აზრით, აიდი ბარათები ადამიანის კონტროლის მექანიზმს შეიცავს.

აღნიშნული განცხადება მან ჟურნალისტებს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ელექტრონულ ბარათებთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა.

მისი თქმით, ათონის მთის სასულიერო პირთა წერილში ნათქვამია, რომ „რაც უფრო მალე შემოვა აიდი ბარათები და ელექტრონული მოწმობები, მით მალე შემოვა ბეჭედი“.

– ჩვენი საფუძვლიანი მოთხოვნაა, ადამიანებს არჩევანის თავისუფლება ჰქონდეთ ალტერნატიული ბარათების თვალსაზრისით, რაც, შეიძლება ითქვას, რომ წინა ხელისუფლების პირობებში უგულებელყოფილი იყო. აიდი ბარათები და ბიომეტრიული პასპორტი არის შესაძლებლობა ადამიანის კონტროლისა, რადგან, როცა ადამიანზე აქვთ კომპრომატი, შესაძლებელია მისი კონტროლიც. ეს არის მისი მართვის მექანიზმი და ამ საფრთხის შემცველად აღიქვამს მორწმუნე საზოგადოება და არა მარტო ის აიდი ბარათებს, – განაცხადა მამა მალხაზ ყიფიანმა.

თენგიზ გუნავა გუბერნატორად დაინიშნა

მიხეილ სააკაშვილი სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალ გუბერნატორს თენგიზ გუნავას, 2008 წლის აგვისტოს ომის გმირს უწოდებს. ეს განცხადება სააკაშვილმა, გუშინ, ზუგდიდში გუნავას წარდგენის დროს გააკეთა.

„თენგიზ გუნავას დროს სამეგრელოში, კრიმინალთან ბრძოლის მხრივ სრული წესრიგი დამყარდა. მთლიანად ამოიძირკვა ნარკოტიკები, წვრილმანი ქურდობები, ყაჩაღობები და სხვა დანაშაულებები. მას ვიცნობ ასევე როგორც 2008 წლის ომის ერთ-ერთ მთავარ გმირს, მახსოვს ის ოპერაციები რომელიც მან გააკეთა. ომის დროს გუნავამ გადაარჩინა უძვირფასესი ტექნიკა, რუსებს სამხედრო ოპერაციაში ორი ჩვენი კატარღა წაართვა, რომელიც საქართველოდან გაყავდათ, აუფეთქა საჰაერო დანადგარები, რომელიც მათ მიჰქონდათ, როგორც სამხედრო ნადავლი. მან ასევე გადაარჩინა ჩვენი სხვა კატარღები ფოთში“ – განაცხადა სააკაშვილმა. მანვე გუნავას მიმართ ბოლო პერიოდში განხორციელებულ საგამოძიებო ქმედებებზეც გააკეთა კომენტარი.

„თენგიზ გუნავას შეექმნა პრობლემები იმ ქვეყანაში, სადაც მთვარობა, რუსეთის ჯაშუშებს, ციხიდან, როგორც პოლიტიკურ პატიმრებს და გმირებს ისე უშვებს. რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაში ნამდვილ გმირებს პრობლემები ექმნებათ, თუმცა ჩვენ არ შევეგუებით და ქედს არ მოვიხრით. ჩვენ გვინდა რომ საქართველომ გააგრძელოს აღმშენებლობა და გუბერნატორმა ითანამშრომლოს ყველა ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოსთან“-განაცხადა პრეზიდენტმა.

მანვე გუნავას მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ ის სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის თანამდებობის დაკავებაზე დათანხმდა.

ნიუსპრესი

ალასანიამ თავდაცვის უწყების გამჭვირვალობაზე მომუშავე ჯგუფებთან შეხვედრა გამართა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დღეს, თავდაცვის უწყების გამჭვირვალობაზე მომუშავე ჯგუფთან პირველი შეხვედრა გამართა.

სამინისტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის მიზანი თავდაცვის უწყების მაქსიმალური გამჭვირვალობის მისაღწევად, არასამთავრობო სექტორისთვის სამომავლო მექანიზმების გაცნობა იყო.

ჯგუფში ამ ეტაპზე ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია – „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ და „მედია კოალიციაა“ გაწევრიანებული.

სამინისტროს ინფორმაციითვე, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გააქტიურება თავდაცვის მინისტრთან ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის დროს გადაწყდა. შეხვედრას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, ასევე, მინისტრის მოადგილეები ლევან დოლიძე, თამარ ქაროსანიძე და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

ნიუსპრესი

თამაზ ხუბუა: „აფხაზეთის მთავრობა უნდა გადახალისდეს“

რა პრეტენზიები აქვს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს გია ბარამიასთან

შორენა მარსაგიშვილი

ინტერვიუ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ხუბუასთან

– ბატონო თამაზ, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ იკვეთება ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალების ახლებური მიდგომები ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემის დასარეგულირებლად, ეს ეხება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მისი ცალკეული რეგიონების დეოკუპაციის საკითხებსაც. რა პოზიტიური ცვლილებებია ამ მხრივ მოსალოდნელი?

– უპირველეს ყოვლისა, სრულიად საქართველოს მოსახლეობას, მათ შორის დევნილ და ლტოლვილ მოქალაქეებს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ყოველგვარ სიკეთეს და საკუთარ სახლებში დაბრუნების სანუკვარი მოლოდინის აღსრულებას. გეთანხმებით, რომ ოქტომბრის არჩევნებმა ბევრი რამ შეცვალა ჩვენს ქვეყანაში. ვიმედოვნებ, რომ ახალი პოლიტიკური ძალა დეკლარირებულ ძალიან საინტერესო სტრატეგიას საბოლოო დადებით შედეგებზე ორიენტირებული პრაქტიკული ქმედებებით გაამყარებს. რა თქმა უნდა, მათ შორის ვგულისხმობ კონფლიქტურ რეგიონებს, დევნილთა სოციალურ რეაბილიტაციას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვას. ამ მხრივ პირველ ეტაპზე მისასალმებელია ახალი ხელისუფლების მხრიდან პრობლემატიკის რეალური შეფასება, ცრუ მოლოდინების უარყოფა, მზადყოფნა არსებული რეალიების გათვალისწინებით გააზრებული, აწონილ-დაწონილი ნაბიჯების გადასადგმელად, საკითხის სირთულის მიუხედავად კოალიციის სამოქმედო პროგრამაში საკითხისადმი განსაკუთრებული მიდგომის დაფიქსირება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამინისტროს, რომლის ძირითადი პრიორიტეტი კონფლიქტური რეგიონებია, სათავეში ჩაუდგა ცნობილი ადამიანის უფლებათა დამცველი პ.ზაქარეიშვილი, რომელიც ძალიან კარგად არის ჩახედული კონფლიქტების პოლიტიკურ ანატომიაში, დიდი ხანია მუშაობს ამ მიმართულებით, მჭიდრო კონტაქტები გააჩნია პრობლემატიკით დაინტერესებულ ადგილობრივ და საერთაშორისო პოლიტიკურ, არასამთავრობო და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან (კონფლიქტოლოგიის მომრავლებული ვაი– ექსპერტების ფონზე ეს გარემოება უდაოდ ღირსშესანიშნავია!). აქვე აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვა ისეთი სტერეოტიპების ერთხელ და სამუდამოდ რღვევის აუცილებლობას, რაც გამოიხატება ჩვენს თანდაყოლილ მანკიერ თვისებაში ხშირ შემთხვევაში ვიყოთ სხვისი იმედით, მუდმივად ვითხოვდეთ მაქსიმუმს ცენტრალური ხელისუფლებისაგან, საერთაშორისო თანამეგობრობისაგან, იმავდროულად დავრჩეთ გაუგებარ პასიურობასა და ინერტულობაში. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს დევნილი სახელისუფლებო სტრუქტურები, იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები, ქვეყნის საზოგადოებრიობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების პრობლემის მოხსნის დაჩქარება შეაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნებელობების გაერთიანებით. მე, როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, არ მაკმაყოფილებს (ამაზე არაერთხელ განმიცხადებია საქართველოს პარლამენტში, ფედერალური მთავრობის წარმომადგენლებთან) ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის წარმომადგენლობითი ორგანოს პოლიტიკური და მორალურ – ზნეობრივი რესურსების გამოყენებისადმი მოთხოვნადობა, რასაც დღემდე ჰქონდა ადგილი. არადა, გვქონდა და გვაქვს არაერთი საქმიანი, პოლიტიკურად მომგებიანი შეთავაზება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მიდგომები შეიცვლება. ამის იმედს გვიმყარებს თუნდაც ის გარემოება, რომ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს მინისტრს პირველი საქმიანი გასვლითი შეხვედრა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ჰქონდა. ასე, რომ თუ ძალიან ბევრს ვიმუშავებთ, ერთმანეთს მხარში დაუდგებით, აფხაზები აუცილებლად დაბრუნდებიან ერთიან საქართველოში და ჩვენც დავ-

ბრუნდებით აფხაზეთში.

– პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა გასაგებია, რომ დროში შეიძლება გაიწელოს, მაგრამ კვლავ პრობლემურია დევნილი მოქალაქეების სოციალური დაცვა და უამრავი გადაუჭრელი საკითხის მოგვარება. ამ მხრივ რა სიახლის შეთავაზება შეიძლება იძულებით გადაადგილებულებისათვის?

– ძალიან სათუთი და საჭირბოროტო საკითხია. გასული წლების განმავლობაში მეგობარი ქვეყნებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დევნილთა დასახმარებლად ინვესტირებული თანხები თითქოს იძლეოდა საშუალებას თუ მთლიანად არა, პრობლემის მნიშვნელოვანი შემადგენელის მოგვარებისათვის, მაგრამ ეს რატომღაც ვერ მოხერხდა. თუ რატომ, ეს გაირკვევა და შეფასდება კიდევაც, მაგრამ ეს როდია შვება უსახლკარო და სოციალურად სხვა მხრივაც დაუცველი ჩვენი თანამემამულეებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ღონისძიებები გატარდა დევნილთათვის საკუთარი საცხოვრებელი ფართის დასაკანონებლად, ეს სფერო კვლავ რჩება ძალიან მტკივნეულ უბნად. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ყოველთვის აღნიშნავდა და აღნიშნავს დღესაც, რომ დევნილებს შორის საჭიროა გაცილებით მეტი საინფორმაციო – განმარტებითი მუშაობა. ცალკეულმა პირმა ან ოჯახმა უნდა იცოდეს როდის დაკმაყოფილდება კუთვნილი, მე ხაზს ვუსვამ, კუთვნილი საცხოვრებელი ფართისი ან სხვა იძულებითი შეღავათით თუნდაც არც თუ ახალ მომავალში, მაგრამ იმის შეუქცევადი რწმუნებით, რომ დათქმულ დროში დანაპირები შესრულდება. მერწმუნეთ, ამგვარ მიდგომას, მიუხედავად მათი გაუსაძლისი მდგომარეობისა, დევნილები ყოველთვის გაგებით შეხვედებიან. დაინტერესებული ფედერალური უწყებები (უპირველესად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო) მიუხედავად ჩვენი შეთავაზებისა, რატომღაც გაურბოდნენ საკითხისადმი ასეთ მიდგომას. ქვეყანას თუ ეყოლება თუნდაც ერთი დაუბინავებელი დევნილი, ეს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, არის ქვეყნის და საზოგადოების სირცხვილი, რომელსაც მობოდიშება ვერაფერს შველის. ამ ფაქტორის სისტემატურად გათვალისწინება მართებს შემდგომში ახალ ხელისუფლებასაც. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, მისი დეპუტატები, შეძლებისდაგვარად გვერდში ვუდგავართ ამ კატეგორიის ოჯახებსა და ცალკეულ პიროვნებებს, ვშუამდგომლობთ ფედერალურ აღმასრულებელ უწყებებთან, რომ გამოსახლების ან ჩასახლების პროცედურები რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩატარდეს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ დევნილთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პროცესს, სამწუხაროდ, თან ახლავს ზოგიერთი თაღლითი პირების ათასგვარ მაქინაციებზე დამყარებული მცდელობები ცრუ-დევნილის სტატუსს ამოფარებულებმა დაიკანონ საცხოვრებელი ბინები. ამ მხრივ მეტი სიფრთხილე და პრინციპულობა მართებთ თვით დევნილებს იმისათვის, რომ მათ გვერდით მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონდეს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უკანონო შეჭრების პრვოცირება მეტწილად სწორედ ასეთი ანგაჟირებული პირების მიერ ხორციელდება. გასაგებია, რომ ყველა ყალბისმქმნელი დამნაშავეა, მაგრამ 10-ჯერ მეტი დამნაშავეა დევნილთა უბედურებით მოვაჭრე ნებისმიერი ადამიანი. დევნილთა სოციალური დაცვა მარტო საცხოვრებელი ფართით არ შემოიფარგლება. დიდ ყურადღებას მოითხოვს ისეთი ყოფითი პრობლემები, როგორიცაა ჯანდაცვა, ვეტერანთა პენსიები, ინვალიდობა, სოცუზრუნველყოფის ზღვარს ქვემოთ მყოფები, უმუშევრობა და სხვა. დამეთანხმებით, უმთავრესი მაინც საცხოვრებელია, ამით არის განპირობებული მეტი ყურადღების დათმობა განსახლების პრობლემისადმი. ცნობისათვის ვიტყვი, რომ დევნილთა სოციალური დაცვის აქტუალურ საკითხებზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სპეციალური დოკუმენტი თავის დროზე არაერთხელ იქნა გადაგზავნილი საქართველოს პარლამენტში, ფედერალურ აღასრულებელ ორგანოებში.

– ბატონო თამაზ, აჭარის უმაღლეს საბჭოში ჩატარდა ახალი არჩევნები, შეიცვალა აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი. ამ თვალსაზრისით ხომ არ არის ცვლილებები მოსალოდნელი აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში?

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არჩეულია აფხაზეთის ტერიტორიაზე, იმ პერიოდში მაცხოვრებელი ყველა ეროვნების მოქალაქეების მიერ. დევნილობაში აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მუშაობა განაახლა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით და აქვე განისაზღვრა მისი ფუნქციონირების ვადად კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების დამთავრება, ე.ი. მანამდე, სანამ საქართველოს ამ რეგიონში შესაძლებელი იქნება საყოველთაო, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. დევნილობაში ამ ორგანოს ნებისმიერი მოტივაციით ხელახალი არჩევნების ჩატარება ავტომატურად ლეგიტიმურს ხდის 1994 წლიდან აფხაზეთის დეფაქტო ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერილ ე.წ. სახალხო კრებას (პარლამენტს, რომლის არჩევნები იქ პერიოდულად ტარდება). საერთაშორისო თანამეგობრობას აფხაზეთში არჩეული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ლეგიტიმურ სამართლამემკვიდრედ მიაჩნია აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დევნილობაში და არა აფხაზეთის დე – ფაქტო პარლამენტი. ამდენად უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნები, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. რაც შეეხება აფხაზეთის მთავრობას. ამ საკითხთან დაკავშირებით მე ჩემი პირადი მოსაზრებები გამაჩნია. ჩემი აზრით, ამ ორგანოს ხელმძღვანელობა დაუყოვნებელ გადახალისებას საჭიროებს. როცა დევნილი აღმასრულებელი ორგანო ბოლო წლების განმავლობაში არცერთ ოფიციალურ განცხადებას არ აკეთებს დევნილთა სოციალური დაცვის საჭირბოროტო საკითხებზე (არადა ეს ამ ორგანოს პირდაპირი მოვალეობაა!), როცა მოწყვეტილია დევნილ საზოგადოებრიობას, არ ცხოვრობს მისი ინტერესებით, როცა მთავრობის თავმჯდომარე სისტემატურად უხეშად არღვევს აფხაზეთისა და საქართველოს კონსტიტუციას, ამის გამო იგი არ ასრულებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულების მოთხოვნას და სრულ იგნორირებას უკეთებს მას, შედეგად კი საკანონმდებლო ორგანო ვერ ახორციელებს თავის უმთავრეს საკონსტიტუციო მოვალეობას – სრულყოფილად აკონტროლოს აფხაზეთის მთავრობის საქმიანობა, ჩემთვის, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია ასეთი დევნილი მთავრობის პოლიტიკური და ზნეობრივ–მორალური დანიშნულება. რა თქმა უნდა, სამწუხაროა ასეთ მნიშვნელოვან პერიოდში აფხაზეთის მთავრობა რომ ვერ ავლენს თავისი შესაძლებლობის მინიმუმსაც კი. და ეს მაშინ, როცა აფხაზეთის მთავრობაში არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი პროფესიონალიზმით, კომუნიკაბელობითა და საქმიანი თვისებებით იმსახურებენ დაკავებულ თანამდებობებს, მაგრამ დღეისათვის მათ არა აქვთ თავიანთი შესაძლებლობის, მონდომების და ინიციატივების თავისუფლად გამოვლენის საშუალება. ხელშემშლელი ფაქტორი მთავრობის თავმჯდომარის, როგორც ხელმძღვანელის, უუნარობაში უნდა ვეძებოთ. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს თავის მხრივ გააჩნია პერსონალური პასუხისმგებლობა მთავრობის საქმიანობისადმი, მისი თვისობრივი შემადგენლობისადმი და აქვს კიდევაც კონსტიტუციური ბერკეტები მთლიანად მთავრობის და მისი ხელმძღვანელისადმი უნდობლობის გამოსაცხადებლად, მაგრამ ბატონი გია ბარამია ალბათ უკვე ხვდება, რომ მისი პიროვნება ვერანაირი მახასიათებლებით ვერ ესადაგება აფხაზეთის დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირის უაღრესად მნიშვნელოვან რეგალიებს და, ჩემი აზრით, უფრო ლოგიკური იქნება თუ უმაღლესი საბჭოს დახმარების გარეშე თვითონ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

– თქვენს ორგანოს, მის წევრებს ზემოქმედების რა საშუალებები გაგაჩნიათ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების უფლებებისა და თავისუფლებათა დასაცავად?

– ასეთი შესაძლებლობები ერთობ მწირია. ისინი უფრო მეტად პოლიტიკური ზეგავლენის მცდელობის ნიშანს ატარებენ. მხედველობაში მაქვს ოფიციალური განცხადებები, მიმართვები კონკრეტულ ფაქტებზე ევროპარლამენტის, გაეროს, სხვა საერთაშორისო პოლიტიკური, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციებისადმი. რეგულარული შეხვედრები საქართველოში თანამეგობრობის ქვეყნების საელჩოებში, სხვადასხვა მისიებსა და წარმომადგენლობებში. როგორც წესი, წელიწადში ორჯერ მაინც ვხვდებით ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ პედაგოგებს, ექიმებს, სხვა მოქალაქეებს, პრობლემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მაინც ეს მიზერია, რისი გაკეთების საჭიროებაც ამ ადამიანებისათვის მუდამჟამს არსებობს. არადა თქვენს მიერ ნახსენები ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ამ ტერიტორიაზე სისტემატურად ირღვევა. მცდარია მოარული მოსაზრება, თითქოს აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნონიშნით დაპირისპირება წარსულს ჩაბარდა. აუცილებელი სულაც არ არის ადამიანის დასაჩაგრავად მაინცდამაინც ფიზიკურად გაანადგურო იგი. წაართვი მას მშობლიურ ენაზე ლაპარაკის, თავის ძირძველ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების, აღმსარებლობის უფლებები, მოაქციე ყოველდღიურ სეგრეგაციულ წნეხში და თქვენ მიიღებთ ერთი ადამიანის მიერ მეორის ჩაგვრის, დამცირების კლასიკურ მაგალითს. და ეს ყველაფერი „ყვავის“ დღევანდელ აფხაზეთში. ამჟამად ამას ყველაფერს ემატება ამ რეგიონში რუსეთის დომინირების ფაქტორი, რომელიც თავის საოკუპაციო ზონაში ჩვეული „სიჩაუქით“ იყენებს „დაყავი და იბატონეს“ პრინციპს. როგორც იცით, საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს ოკუპირებული ტერიოტრიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგია „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ თანდართული სამოქმედო პროგრამით. დოკუმენტი კარგია, მაგრამ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა ყველა სახელისუფლებო და არასამთავრობო ორგანიზაციის კონსოლიდირება ამ სტრატეგიის თუნდაც საწყისი ეტაპის სრულფასოვნად ასამოქმედებლად. მიმაჩნია, რომ აქ ძალიან მნიშვნელოვანი რესურსებია და მათი გამოუყენებლობა შეცდომაა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო რეგულარულად იხილავს ამ მხრივ მუშაობის გააქტიურების საკითხებს, აქტიურად თანამშრომლობს პროგრამაში ჩართული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, აქვს წამოყენებული საქმიანი წინადადებები მუშაობის ინტენსიფიცირების მიზნით. ეს გზა რთულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დაძლევადი. მხოლოდ ერთი პირობა ყველამ აუცილებლად უნდა შეავასრულოთ – აღნიშნული სტრატეგიით გათვალისწინებული პროგრამების რეალიზაციაში ოკუპირებული და დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ მხოლოდ წესიერებით, კომპეტენტურობით, ქვეყნის ნაციონალური ინტერესებისადმი პატივისცემით, ამასთანავე, ინიციატივიანობითა და გონივრული გამბედაობით გამორჩეული ადამიანები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაერთიანებები.

ქართული სასაზღვრო საგუშაგო ზვავმა მოიყოლა

შსს სააკაშვილს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს



შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად გუშინ თენგო გუნავა წარადგინა. ამ წარდგინებაზე სააკაშვილმა რამდენიმე ხმაურიანი განცხადება გააკეთა. ქვეყნის პირველ პირს, სხვებთან ერთად, პატრულიც შემოელანძღა.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში პატრულის მიერ ქრთამის აღების პირველი შემთხვევები დაფიქსირდა.

– ჩვენ გვინდა, რომ საქართველომ აღმშენებლობა გააგრძელოს. ჩვენ გვინდა, რომ გუბერნატორმა ითანამშრომლოს მთავრობასთან, მაგრამ ჩვენ გვინდა ასევე, რომ გუბერნატორმა დაიცვას ქვეყნის მონაპოვარი და აღმშენებლობის ტემპი გააგრძელოს. თქვენ იცით, რომ იქმნება სერიოზული პრობლემები, რადგან წარსულის ძალიან ბევრი კადრი, რომლებიც გასვრილი არიან კორუფციასა და კონტრაბანდაში, მათ შორის, ჯართისა და სიგარეტის კონტრაბანდაშიც, დღეს ხელისუფლებაში თანამდებობებზე ბრუნდება, მათ შორის, სამართალდამცავ უწყებებშიც, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში გამგებლად შევარდნაძის დროინდელი კადრი დანიშნეს, რომლის მეტსახელიც „ყულაბაა“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებას ეხმაურება, რომლის თანახმადაც, პატრულების მიერ ქრთამის აღების შემთხვევები ფიქსირდება.

– დღემდე პატრულის მიერ ქრთამის აღების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საზოგადოების წარმომადგენლებს, მთავრობის წევრებს, საპარლამენტო უმრავლესობას, უმცირესობას, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, რომ თუკი რაიმე მსგავსი ფაქტი იქნება დაფიქსირებული, დაუყონებლივ აცნობონ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნომრებზე – 241 88 24, 241 88 81 და პირადად მინისტრს. მინისტრის ბრძანებით, იანვრის ბოლოს ამოქმედდება ცხელი ხაზი და ყველა მოქალაქეს, 24 საათის განმავლობაში შეეძლება, შეუფერხებლად მიაწოდოს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებისმიერი თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. მოვუწოდებთ ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, თავი შეიკავონ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების რეპუტაციის შემლახავი განცხადებების გაკეთებისგან, ვინაიდან, კონკრეტული ფაქტების მოყვანის გარეშე, ამგვარი განცხადებები ემსახურება პოლიციისა და, მთლიანად, სამინისტროს მიზანმიმართულ დისკრედიტაციას. აქვე განვმარტავთ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს არც ერთი რაიონის პოლიციის უფროსად არ დანიშნულა თანამშრომელი, ზედმეტსახელად „ყულაბა“, – აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ოქრუაშვილს პატიმრობა გირაოთი შეუცვალეს, მაგრამ მაინც ციხეში დატოვეს

ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის ბრალდების მოხსნასთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლო განცხადებას აქვეყნებს.

„საქალაქო სასამართლოში, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა, ბრალდებულების ირაკლი ოქრუაშვილისა და იოსებ გიგუაშვილის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის – გირაოთი 10 000 – 10 000 ლარის ოდენობით შეცვლის თაობაზე. ბრალდებული იოსებ გიგუაშვილი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, ვინაიდან იგი სხვა ბრალდების სს საქმეზე ჯერ კიდევ იმყოფება პატიმრობაში, მიუხედავად აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა, მისი დარბაზიდან გათავისუფლება ვერ განხორციელდა.

აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხის განხილვისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ საქმეზე უკვე დაკითხულია მოწმეთა ძირითადი ნაწილი, ასევე ამოწურულია ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა, რის გამოც მოცემულ ეტაპზე აღარ არსებობს ოქრუაშვილისა და გიგუაშვილის მხრიდან მტკიცებულებების გაბნევადობისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე. შესაბამისად, ისეთი ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, როგორიცაა გირაო, სავსებით უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.

ამავე სხდომაზე სასამართლომ არ დაკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულების ხვიჩა საბაშვილის, გაბრიელ პავლიაშვილის, ზაზა ბეთლემიძის, მალხაზ კაკაშვილის, გიორგი გაბროშვილისა და თამაზ ბეგიაშვილის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის – გირაოთი შეცვლის შესახებ, ვინაიდან არ არის აღმოფხვრილი ბრალდებულთა მხრიდან მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე“ – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ საქმის არსებითი განხილვა რვა ბრალდებულის მიმართ მიმდინარეობს. მოცემულ საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილს ბრალად, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და ხელმძღვანელობა ედება.

ბრალდებულებს – იოსებ გიგუაშვილს, ხვიჩა საბაშვილს, გაბრიელ პავლიაშვილს, ზაზა ბეთლემიძესა და ამჟამად ძებნაში მყოფ მალხაზ კაკაშვილს კი ბრალად, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება ედებათ.

რაც შეეხება ბრალდებულებს – გიორგი გაბროშვილსა და თამაზ ბეგიაშვილს, მათ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა ბრალდებათ.

საქმის არსებითი განხილვის მომდევნო სხდომა 2013 წლის 11 იანვარს დაინიშნა.

ნიუსპრესი

ლადო პაპავა: „ბიუჯეტი გამჭვირვალე გახდა“

შორენა კოწოწაშვილი

**პროფესორი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ სააკაშვილის ხელიმი ბოლომდე ახ დასხულებული, ამიტომ დღეს ნებისმიერი კრიტიკა ახალი მთავრობის მისამართით, როგორი კეთილი სურვილებითაც არ უნდა იყოს ის ნაკარნახევი, ირიბად სააკაშვილის სამსახურში ჩადგომა გამოვა. სააკაშვილის მმართველობა ბიუჯეტის ბიუჯეტი ბიუჯეტ ბიუჯეტ ბიუჯეტ

ნანა დევდარიანი: „ივანიშვილის მინისტრებმა საკუთარ თავს მაღალი პრემიები გამოუწერეს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ნანა დევდარიანთან

– ქალბატონო ნანა, მოდით, შევაფასოთ ამ ახალ 2013 წელს განვითარებული პოლიტიკური პროცესები, თუმცა, მინდა, ჩვენი საუბარი პოლიტპატიმრების თემით დავიწყოთ. თქვენთვისაც ცნობილია, რომ 13 იანვარს, იმის მიუხედავად, სააკაშვილი მოაწერს თუ არა ხელს, პატიმრები ციხეებს დატოვებენ. ხელმოწერის ვადა პრეზიდენტს დღეს ეწურება. თქვენი აზრით, მოაწერს ხელს ამ დადგენილებას?

– ნორმალური ლოგიკით, აქამდე უნდა მოეწერა ხელი, მაგრამ მისთვის ეს იქნება ურთულესი. მაშინ უნდა აღიაროს, რომ ჰყავდა პოლიტპატიმრები, ამიტომ ხელს არ მოაწერს. ეს არ არის პრობლემა, მოაწერს პარლამენტის თავმჯდომარე და ეს ხალხი დატოვებს ციხეებს. ის რომ ამას არ აღიარებს, ნათელია.

– გამოდის, რომ კოჰაბიტაცია ვერ შედგა ამ ორ ძალას შორის?

– ჩვენ ამ კოჰაბიტაციას ვუყურებთ ცალმხრივად. ე.ი. რომელიღაცა მხარე უნდა მოიქცეს ისე, როგორც ითხოვს მეორე და ეს ასე არ არის. კოჰაბიტაციის ნორმებში ჩვეულებრივად ეწერება, ეს არის სამართლებრივი პროცედურა, პრეზიდენტი ადებს ვეტოს, პარლამენტი დაძლევს ამ ვეტოს და გადაწყვეტილება შედის ძალაში. ეს სრულიად კონსტიტუციური მექანიზმია. ამდენად, ეს არ აძლევს არავის საბაბს, თქვას, რომ კოჰაბიტაცია არ შედგა. ეს კანონის მიხედვით არის გაწერილი და კანონის მიხედვით მოიქცა პარლამენტი, დაძლია პრეზიდენტის ვეტო. სააკაშვილი ხელს არ მოაწერს, მისი ხელმოწერა ნიშნავს იმას, რომ უნდა აღიაროს, რომ პოლიტპატიმრები ჰყავს.

– ქალბატონო ნანა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ საკმაოდ აქტუალური თემაა კონსტიტუციური ცვლილებები. უმრავლესობა ამ საკითხზე უკვე აქტიურად მუშაობს, საუბარია იმაზე, რომ მათ საკმარისი ხმებიც აქვთ ამ ცვლილებების განსახორციელებლად...

– საერთოდ, ეს მახინჯი პრაქტიკაა. ამ კონსტიტუციის გადაწერა– გადმოწერის პრაქტიკა დანერგა ისევ სააკაშვილმა. როგორც კი მოვიდნენ რევოლუციის მერე ხელისუფლებაში, მაშინვე დაიწყეს გადაწერა ისე, როგორც თვითონ სჭირდებოდათ, იმიტომ რომ სრულიად გარკვეული ძალთა კონფიგურაცია მოვიდა, სამი ლიდერი ჰყავდა რევოლუციას. იმისთვის, რომ შემდგარიყო პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, ჟვანია არ დაკმაყოფილდებოდა სახელმწიფო მინისტრის რაღაცა ეფემერულ პოსტს, ამიტომ ეს კონსტიტუცია შეიცვალა. სხვათა შორის, პირველი კრიტიკა გაისმა მაშინ. მერე და მერე გაგრძელდა ეს პროცესი, კონსტიტუციას სულ მუდმივად საკუთარ თავზე ირგებდა სააკაშვილი და ბოლოს დააგვირგვინა იმით, რომ გამოაცხადა გადასვლა მისი მეორე ვადის დამთავრების შემდეგ საპარლამენტო რესპუბლიკაზე. მე ამას ვწერდი 2008-ში, როცა საპროტესტო აქციები იყო. ის, რომ ოპოზიცია ითხოვს, არ გვინდა პრეზიდენტის ინსტიტუტი და გვინდა საპარლამენტო რესპუბლიკაო, ეს, პირველ რიგში, წყალს ასხამდა სააკაშვილის წისქვილზე, იმიტომ რომ ორი ვადა უნდა დამთავრებოდა და ერთადერთი შესაძლებლობა, რომ სახელმწიფოში დარჩენილიყო პირველი პირის სტატუსით, იყო საპარლამენტო რესპუბლიკა. ცხადია, მან ამით ისარგებლა და გამოვიდა ისე, რომ თითქოს მან მიიღო ის ცვლილებები, რასაც ითხოვდა ოპოზიცია. სინამდვილეში მიიღო ის ცვლილებები, რაც სჭირდებოდა პირადად თვითონ. მაშინ ის ვერანაირად წარმოიდგენდა, რომ მოვიდოდა ივანიშვილი, დანარჩენი ოპოზიციის შიში არ ჰქონდა მას. თუ გახსოვთ, ძალიან ლაზღანდარობდა ამ საკითხზე, მე რომ ვიყო ოპოზიცია, სამ თვეში დავამხობდი ხელისუფლებასო. თუმცა, შეიქმნა ვითარება, როცა მისი გადაწერილი კონსტიტუციით თავად ვერ ისარგებლა.

– თქვენ განაცხადეთ, ეს მახინჯი პრაქტიკააო. რამდენად არის იმის საფრთხე, რომ ახალმა ხელისუფლებამაც საკუთარ თავზე მოირგოს კონსტიტუცია?

– ისეა დამახინჯებული ეს კონსტიტუცია, რომ უარესს ვერ იზამენ ვერაფრით. ახლა ნახეთ, როგორი საოცარი გარდამავალი პერიოდია, პრეზიდენტს ჯერ არა აქვს ჩამორთმეული მისი უფლებამოსილებები და მოსული არის ახალი პარლამენტი, რომელიც ძალაუფლების მთელი მასშტაბით ვერ სარგებლობს. კონსტიტუციაც და ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება – ეს არის ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ძალებს შორის მოლაპარაკების საგანი. მე როდესაც ვამბობ, მახინჯი პრაქტიკა, იმას კი არ ვგულისხმობ, რომ კონსტიტუცია არასოდეს არ უნდა შეცვალო. მე ვამბობ იმას, რომ არ შეიძლება წელიწადში რამდენიმე ცვლილება შეიტანო და თანაც შენ როგორც გაწყობს, ისე. ამ წუთში ეს საფრთხე არ არის, მაგრამ ზოგადად ნებისმიერი ხელისუფლება ყოველთვის ეცდება, ხელისუფლებაში ყოფნისას განიმტკიცოს პოზიციები იმისთვის, რომ ხვალ არ დაკარგოს ეს ძალაუფლება. ამიტომაც უნდა ყურადღება საზოგადოების მხრიდან.

– რადგან აცხადებენ რომ საკმარისი ხმები აქვთ საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად, ალბათ, ასეა. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიზღუდება სააკაშვილის უფლებები?

– სააკაშვილს უკვე შეეზღუდა უფლებები, მოდით, პირდაპირ ვთქვათ. სააკაშვილი იმ ძალაუფლებით კი არ სარგებლობდა, რაც მას კონსტიტუციით და კანონით ჰქონდა მინიჭებული, არამედ აბსოლუტური ძალაუფლებით სარგებლობდა. ამდენად, ის უკვე თავს გრძნობს ძალიან არაკომფორტულად და შეზღუდულად, ვიდრე იყო ამ 9 წლის განმავლობაში. რასაც იტყოდა, ის კეთდებოდა. ამდენად, მისი მდგომარეობა არის ძალიან არაკომფორტული.

– რაც შეეხება საზოგადოების ერთი ნაწილის მოთხოვნას მის გადადგომასთან დაკავშირებით, თქვენი აზრით, რამდენად შედეგიანი იქნება ეს პროცესი?

– საზოგადოებაში არის ამის მოთხოვნა. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა, ამ ამომრჩეველს, რომელმაც რეჟიმს უთხრა უარი, არანაირად არ უნდა არც სააკაშვილი დღეს და არც ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც კვლავ ადგილებზეა და სააკაშვილი ამბობს, არ გაბედოთ და ხელი არ ახლოთ არჩევნებამდე. 2003 წელს რომ მოვარდა, რა, არჩევნების შედეგებით აიღო ძალაუფლება? ან რომ დაერია მთელს სახელისუფლებო ვერტიკალს და რომ გამოყარეს ყველა და დაიკავეს მათი ადგილები, მაშინ რატომ არ ახსოვდა კონსტიტუცია ერთი? არ უნდა ხალხს ეს ყველაფერი, მაგრამ აქ არის ერთი საინტერესო მომენტი, შენ კი არ გინდა, მაგრამ შენ მიერ არჩეული პოლიტიკური ძალა ამბობს, ჩვენ დავტოვებთ ოქტომბრამდე და ვერ ვარწმუნებთ დასავლეთს, რომ გასაშვებიაო. აქ რჩება ერთი, განსხვავებით იმისგან, სააკაშვილი რომ მოვიდა ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა აბა, ვაცადოთ, ვაცადოთო... ამისგან განსხვავებით საზოგადოებამ დღესვე უნდა წაუყენოს პირობები, მის მიერ არჩეულ პოლიტიკურ ძალას და უნდა უთხრას, რომ კანონის მექანიზმების სრული დაცვით შემომაქვს პეტიცია პარლამენტში, განიხილე და აბა კეთილი ინებე და მოსახლეობის სრული უმრავლესობის აზრი არ გაითვალისწინოთ. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ სამართლებრივი პროცედურების სრული დაცვით წარმართული პროცესიც კი ხანდახან არის პოლიტიკურად წამგებიანი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პარლამენტი ისე კი არ უნდა იქცეოდეს, როცა არც კი შეუშვა და არც კი დაელაპარაკა ამ ხალხს ქუთაისში. არამედ კეთილი უნდა ინებოს და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდეს და კარგად აუხსნას ყველაფერი. მერე საზოგადოება თვითონ გადაწყვეტს, მიიღებს ამ არგუმენტებს თუ არ მიიღებს. ჩვენ უკვე ისეთი ხელისუფლება რომელიც მოსახლეობის მიმართ, ამომრჩევლის მიმართ იყო ბრმა და ყრუ გვყავდა უკვე. რატომ გვინდოდა ხელისუფლების შეცვლა, იმიტომ რომ მოსულიყო ისეთი ხელისუფლება, რომელიც საზოგადოების აზრს გაითვალისწინებდა. თუ ამას ოცნების წარმომადგენლები არ გაითვალისწინებენ, მათი რეიტინგი ძალიან სწრაფად დაეცემა.

– ქალბატონო ნანა, თქვენ ადგილობრივი თვითმმართველობები ახსენეთ. იცით რომ რეგიონებში სიტუაცია საგრძნობლად დაძაბულია, განსაკუთრებით კი – სამეგრელოში. ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ ექსპერტებისგან, რომ ეს ყველაფერი ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს... რამდენად არის ეს ასე?

– მაგათ წისქვილზე წყალს აღარაფერი დაასხამს, იმიტომ რომ, რაც არ უნდა საყვედურები თქვან და ვინც არ უნდა აკრიტიკონ, ყველას ძალიან კარგად ახსოვს, გუშინ და გუშინწინ თვითონ რას აკეთებდნენ. მაგალითად, მე სულ არ მიკვირს, რომ, მაგალითად, აბაშაში არ უნდათ ვიღაცა გამგებელი. თბილისი დიდი ქალაქია, მაგრამ რაიონში ხომ ყველაფერი ხელისგულზე ჩანს. ყველას კარგად ახსოვს ის უკანონობები და უსამართლობები, რასაც ეგენი ჩადიოდნენ. ჩვენ მაგათ ვუყურებთ, როგორც სინდისიერ ძალას, რომ შერცხვებათ და გაჩუმდებიან. ესენი აცრილები არიან სინდისზე და სირცხვილზე. არ რცხვენიათ, მაინც იბრძვიან, იბრძვიან, რომ რაღაცა დოზით და ფორმით ძალაუფლება შეინარჩუნონ. ამას უნდა მეთოდურად და ყოველდღიურად შრომა და ამ პროცესებისთვის თვალის დევნება და ამაში მონაწილეობა. ამის მიშვება არაფრით არ შეიძლება.

– სანამ რჩებიან ნაციონალები ხელისუფლებაში, ქვეყანას მწვავე პერიოდი ელის?

– კი, რა თქმა უნდა, ეს ყოველდღიურადაც ჩანს. მისხლის დათმობას არ აპირებენ. დღეს ზნეობასა და კონსტიტუციაზე ისეთი ადამიანები ლაპარაკობენ, რომლებსაც საერთოდ მორალური უფლება არა აქვთ, ადამიანებს, ხალხს დაელაპარაკონ. იცით, რა დონეზეა საზოგადოებაში გაღიზიანება? უბრალოდ, ღიზიანდებიან იმაზეც, რომ ეს სახეები რატომ ჩნდებიან ტელეეკრანზე. ეს ჩვენი გუშინდელი ოპოზიციური ტელეარხების გადამეტებული სურვილი ბალანსის და, ასე ვთქვათ, დაბალანსებული ჟურნალისტიკისადმი უკვე საშინელ გამაღიზიანებელ ფაქტორად იქცა მოსახლეობისათვის. ეს უკვე ბალანსი არ არის. ეს, დაახლოებით, იცით, რას ჰგავს? ყოველდღე ვიღაცა ტერორისტული ორგანიზაციის წევრები გამოგყავდეს ტელევიზიით და კიდევ ჭკუას არიგებდნენ მოსახლეობას.

– თანაც როგორი შავი პიარი შეიმუშავეს ახალ ხელისუფლებასთან მიმართებით, თუნდაც იგივე თეა წულუკიანის ირგვლივ აგორებული ხმები მაქვს მხედველობაში...

– საკუთარ ოჯახებს მიხედონ, რა! დედებსა და მამებს კი არა, ზოგიერთმა თავის სიდედრს მიხედოს, სიდედრ-სიმამრებს და ცოლის ნათესავებს. ყველამ ყველაფერი იცის საქართველოში. ტყუილად კი არ ალაპარაკეს ის ბოკუჩავა, იმიტომ რომ ბოკუჩავა პატარაა ასაკით და ფაქტიურად მის შესახებ არავინ არაფერი იცის. ერთი რომელიმეს ამოეღო ხმა იმ საპარლამენტო უმცირესობიდან, ვისი ოჯახური ამბებიც პრეზიდენტის ოჯახის ჩათვლით და მისი ცოლის ნათესავების ჩათვლით, ხალხმა ძალიან კარგად იცის. ამის მორალური უფლება უნდა გქონდეს, როცა ამაზე ლაპარაკობ. ეს ერთი და მეორეც ის, რომ თეა წულუკიანის მამა არაფერ შუაში არ არის მიმდინარე თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებთან. ეს არავის არ გამოუკვლევია, ჭორების დონეზე ორღობის დედაკაცებივით ლაპარაკობენ რაღაცას, წულუკიანზე ვერაფერი თქვეს, ვერ მოუძებნეს ვერაფერი, ისიც კი ვერ თქვეს, რომ საკუთარ თავს პრემია გამოუწერა, რადგან, ზოგიერთებისგან განსხვავებით, მას ეს არ უკადრებია და მას რომ ვერაფერი მოუძებნეს, ახლა გადასწვდნენ მამამისს. ეს არაფერს არ ჰგავს. თავიანთ ოჯახებს და თავიანთ ოჯახის წევრებს მიხედონ. ვინც ეს ინფორმაცია ჩააწოდა ბოკუჩავას გასახმოვანებლად, გამოვიდეს და თვითონ თქვას, თუ ასეთი სუფთაა და ზნეობრივი. წულუკიანის მამა როცა მუშაობდა მოსამართლედ, მაშინ კანონმდებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ დანაშაულებზე სიკვდილით დასჯას და ახლა წულუკიანის მამაზე ლაპარაკობენ ის ადამიანები, ვისი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც გაუქმებული იყო სიკვდილით დასჯა და ვისი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც ათეულობით ადამიანი არის პოლიციის მიერ ლიკვიდირებული. აქვთ ამის მერე უფლება, ამაზე რომ ილაპარაკონ?!

– ეს ყველაფერი რამდენად ჯდება კოჰაბიტაციის პარამეტრებში?

– რომელი კოჰაბიტაცია, კაცო, ეს ყველაფერი ხომ არის პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი. ესენი ახლა დასავლეთში, ვისაც კი შეუძლიათ, ხმა მიაწვდინონ, არწმუნებენ, რომ აი უნდათ, რომ ჩვენ გაგვდევნონ ხელისუფლებიდან, ჩვენ ასეთი კარგი დემოკრატები, დავუთმეთ მათ ხელისუფლება, გადავაბარეთ მშვიდობიანად და გვებრძვიან ყველანაირად. ეს არის პოლიტიკური ინსტრუმენტი. ოჯახში რომ მოძალადე შემოგივარდება, ძალადობს შენზე და მეზობელმა რომ მოგიკაკუნოს კედელზე და გითხრას, ნუ ყვირიხარ ერთი, თუ ძმა ხარ, კოჰაბიტაცია მოახერხე მაგასთანო, ეს ამას ჰგავს. პროცესები მიმდინარე წელს საკმაოდ მწვავე იქნება, რადგანაც აქ შემოდის დამატებით კიდევ ორი ფაქტორი.

– რომელ ფაქტორებს გულისხმობთ?

– ერთი ის, რომ გაისად საპრეზიდენტო არჩევნებია მოსალოდნელი და 2014-ში – ადგილობრივი. უმრავლესობაში კი მოსულია კოალიცია და არა ერთი პარტია. ამიტომ პარტიების შიდა კონკურენციაც იქნება აუცილებლად.

– სხვათა შორის, ამაზე მინიშნება ლევან ბერძენიშვილმა უკვე გააკეთა, მან განაცხადა, რომ არჩევნებზე პარტიები ცალ-ცალკე გამოვლენ...

– ხშირად ემართება ხოლმე ბერძენიშვილს, რომ დროზე ადრე ახმოვანებს ხოლმე რაღაცას და მერე ეს პოლიტიკურ პროცესებს ძალიან ურევს. ეს ბუნებრივი პროცესია, კოალიციის შიგნით პარტიებს შორის იქნება კონკურენცია და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ შეძლებს, საპრეზიდენტო კანდიდატი წამოწიოს, ვინ დაწინაურდება ადგილობრივ არჩევნებში და ასე შემდეგ. აი, ამ წინააღმდეგობებით მაქსიმალურად ეცდებიან, სარგებელი მიიღონ ნაციონალებმა. ეს მეტი სარგებელი მათი მოგონილია, მაგრამ ხალხში თავის თავს გულისხმობენ. ისინი ეცდებიან რომ აქედან მთელი სარგებელი მიიღონ თვითონ. ეს არ უნდა დავუშვათ. სხვათა შორის, ივანიშვილმა დაინახა ეს პროცესი, რომ არის ეს შიდა კონკურენცია და ამიტომ ასე გამოუვიდა, რომ ოპოზიცია თითქოს შიგნითვე უნდა წარმოშვას „ქართულმა ოცნებამ“. დაახლოებით ასეთი მინიშნება იყო, მაგრამ ეს არის უკიდურესად არასწორი, როდესაც შენ 40%-ით გყავს გუშინდელი დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლები პარლამენტში, იქ არ შეიძლება სიარული კოალიციის შიგნით ოპოზიციის წარმოშობის მიმართულებით.

– მაშინ რას უშვრებიან ამ 40%-იან ძალას, რომელიც, გამოდის, რომ უმრავლესობაში შეიძლება აღმოჩნდეს?

– რასაკვირველია! სულ პატარა განსხვავებაა მათ შორის, საკმარისია, შიგნით გამოიყოს ერთი ან ორი ძალა, რომ უმრავლესობა დარჩებათ ნაციონალებს. ეს ხომ ელემენტარული არითმეტიკაა. მე ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ არ შეიძლება ეს ორი ძალა ერთმანეთს შეატოვო. უნდა ყოფილიყო კიდევ პოლიტიკური ძალები. როგორც ნაციონალებმა ჩარეცხეს და გადარეცხეს თავის დროზე ყველა პოლიტიკური ძალა, ასე მოიქცა ოცნებაც და დღეს არის ერთი ერთზე დარჩენილი ნაციონალურ მოძრაობასთან. ახლა პარლამენტის შიგნით კოალიციის გახეთქვა არის სრულიად დაუშვებელი და, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ამას არ დაუშვებენ. აი, პარლამენტის გარეთ თუ მოძლიერდებიან ოპოზიციური ძალები და ისინი ჯანსაღ ოპონირებას დაიწყებენ, როგორც მმართველ ძალასთან, ისე გუშინდელ მმართველ პარტიასთან, ეს უკვე ჯანსაღი პროცესია.

– ქალბატონო ნანა, როდესაც წულუკიანზე ვსაუბრობდით, თქვენ პრემიების თემა ახსენეთ და მინდა, რომ ამაზეც ვისაუბროთ...

– რომელი ნორმალური ადამიანი მოიფიქრებდა ამას, რომ ორი თვე არ არის გასული და ამხელა პრემიები გამოიწერა ახალმა მოსულმა მთავრობამ. ეს წარმოუდგენელია. მოსახლეობას თავის თავზე ჯერ არაფერი უგრძნია, ტარიფები არ დაწეულა, იმ სიმბოლურ დაცემას არ ვგულისხმობ. საწვავი არ გაიაფებულა, დაზღვევაზე მხოლოდ თვეების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი. ორი თვე არ გასულა და ესენი ამხელა პრემიებს იწერენ.

დღეს საქართველოში გამოიდარებს

დღეს სინოპტიკოსები საქართველოში უნალექო ამინდს ვარაუდობენ.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოშა ცხადებენ, გამოიდარებს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც.

დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით მოიმატებს და 3-8 გრადუსს გაუტოლდება.

ტემპერატურის მომატებაა ნავარაუდები აღმოსავლეთ საქართველოშიც. აქ ხვალ 1-6 გრადუსი სითბო დაფიქსირდება.

დღეს უნალექო ამინდია ნავარაუდები თბილისშიც. დედაქალაქში ჰაერი კვლავ 3 გრადუსამდე გათბება.

მედიანიუსი

თბილისს მსოფლიო პატრიარქი ეწვია

მსოფლიო პატრიარქი, ყოვლადწმინდესი ბართლომე I თბილისში ჩამობრძანდა.

ამის შესახებ „მედიანიუსს“ საპატრიარქოდან აცნობეს.

მსოფლიო პატრიარქი თბილისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან 80 წლის და აღსაყდრებიდან 35 წლისთავის საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად ეწვია.

ბართლომე I-ს თბილისის აეროპორტში საქართველოს პატრიარქი ილია მეორე და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დახვდნენ.

მსოფლიო პატრიარქთან ერთად თბილისს ჩეხეთისა და სლოვაკიის ეკლესიის წინამძღოლი, მიტროპოლიტი ქრისტეფორე და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების დელეგაციები ჩამობრძანდნენ.

მედიანიუსი

თბილისთან ახლოს სათბურები გაშენდება

თამარ ნინიძე

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კოოპერაციასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე სამოქალაქო მოძრაობა „ჯაზუში“ კოოპერატივების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

ამ შეხვედრას „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ლიდერი გიორგი წივწივაძე და ცეკავშირის თავმჯდომარე შუქრი ცხვედიანი უძღვებოდნენ.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პიარპროგრამის ნაწილი და ფართოდ გახმაურებული თემა წინასაარჩევნოდ იყო სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი ერთი მილიარდი დოლარი. გიორგი წივწივაძის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯერ არა აქვს ნათლად გამოკვეთილი გეგმა, როგორ და სად უნდა დაიხარჯოს ეს მილიარდიანი კრედიტი. ჯერ კიდევ ვირტუალურია გეგმა, როგორ მოხდება საგაზაფხულოდ ხვნა-თესვის პროცესის განხორციელება, მოსამზადებელია 900 მექანიზატორი, უნდა აშენდეს ახალი გადამამუშავებელი საწარმოები, სასუქების ეფექტიანად გამოყენება და არსებული სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწების აღრიცხვა და პასპორტიზაცია უნდა მოხდეს. საქართველოში ბოლო ცხრა წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა და თუ რამ გაკეთდა, მხოლოდ ფერმერებისა და გლეხების საზიანოდ. საკმარისია ყბადაღებული ამერიკული სიმინდის მოყვანის პროგრამის დასახელება იმის დასტურად, რომ წინა ხელისუფლებას არათუ რაიმე გეგმა ჰქონდა, არამედ საერთოდაც ადგილობრივი მეურნეობების განსავითარებლად ბევრს არაფერს აკეთებდა.

ცეკავშირსა და სამოქალაქო კოოპერატიულ მოძრაობას გაწერილი ბიზნესგეგმა აქვთ, რომელიც სურთ შესთავაზონ ახალ ხელისუფლებას და იმედი აქვთ, რომ მათი კონკრეტული საკითხები გაზიარებული იქნება. ისინი სთავაზობენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლობას. ნერგების, ჩითილების მოყვანის საკითხში კოოპერატივების გამოცდილების გამოყენებაც კარგი იქნებოდა.

წივწივაძის აზრით, საქართველოში იმდენი ბიოსასუქია, რომ მთელ მოწეულ პროდუქციას ეყოფა, ესეც უნდა იყოს გამოყენებული, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა პროდუქციის მოწევა შეიძლება, მთაში მეცხოველეობაა განვითარებული და ისიც უნდა აღორძინდეს.

ცეკავშირის ახლანდელმა თავმჯდომარე შუქრი ცხვედიანმა განაცხადა, რომ მომხმარებელთა საზოგადოებრივი გაერთიანებაა, წინა ხელისუფლებამ ცეკავშირი დაანგრია, თუ ადრე ცეკავშირს დიდი ქონება ჰქონდა საკურორტო და სამშენებლო ობიექტები, სამრეწველო და გადამამუშავებელი ქარხნები, დღეს მას დიდი ვალები აქვს და ეს ორგანიზაცია, ფაქტობრივად, განადგურებულია.

შუქრი ცხვედიანის აზრით, ახალი ხელისუფლების ინტერესებში უნდა იყოს ცეკავშირის განახლება და მისთვის ამ ქონების დაბრუნება. ცეკავშირი კოოპერატივებსა და საერთოდ საშუალო ფენას კონსულტაციებსა და დახმარებას უწევდა. ეს საკითხიც მისახედია. თუ კოოპერატივები აღდგება, სოფლის მეურნეობაც განვითარდება. კოოპერაცია ანტიმონოპოლიური სოციალურად ორიენტირებული სისტემაა. სამომხმარებლო კოოპერატივები მზად უნდა იყვნენ შესყიდვების ობიექტების შესაქმნელად და სასოფლო პროდუქციის მისაღებად.

აუცილებელია ასევე სათბურების აშენება, მათ შორის თბილისთან ახლოსაც, 20 ათას ჰექტარზე სათბურების აშენება ძვირი არ ჯდება. მაგალითად, გიორგი წივწივაძის ინფორმაციით, ათას ჰექტარზე სათბურის ასაშენებლად საკმარისია 50 ათასი ლარი. კოოპერაციული სამოქალაქო მოძრაობა და ცეკავშირი მზად არის, გააცნოს თავისი გეგმები და მოსაზრებები ახალ ხელისუფლებასა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მათგანაც ელოდება თანამშრომლობისკენ გადადგმულ რეალურ ნაბიჯებს.

,,ბელა დაგვიტოვეთ ანუ ინვალიდთა საავადმყოფოს მთავარი ექიმის კისერი“

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

,,ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლას უპოვართა სასადილოების გახსნა მოჰყვა. რასაკვირველია, ეს არ ყოფილია ,,ნაციონალების“ ბრალი, რადგან შევარდნაძის დროიდან ძალიან ბევრმა ადამიანმა სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჰიგიენასა და თავმოყვარეობას ,,არა“ უთხრა და ნაგვის ბუნკერებსა და მიუსაფართა სასადილოებს მიაშურა. ბევრგან მსმენია, რომ მუნიციპალური ბიუჯეტით დაფინანსებული მიუსაფართა სასადილოები არა მარტო მიუსაფრებს ,,კვებავსო“. მშობლიურ ჭიათურაში როგორ იყო საქმე, ამის დადგენას ვეცადე და ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში აქვს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერი მოგებული მიუსაფართა ერთჯერადი კვების მოვალეობით, დავუკავშირდი. ქალბატონმა ბელა ასანიძემ შეხვედრის ადგილად ყველაზე ცნობილი ,,კინოს წინ“ დამითქვა და მისი ავტომობილით მივადექით ჭავჭავაძის ქუჩაზე ერთ კორპუსს. კორპუსის წინ მტრედების გუნდი ნამცეცების კენკვით იყვნენ დაკავებული და ფეხებგაწითლებული მხიარულად ღუღუნებდნენ. სასადილოს კარი შეაღო ქალბატონმა ბელამ და მიუხედავად იმისა, რომ სენტიმენტალური მაინცდამაინც არ ვარ, ატირება მომინდა! ათიოდე ადამიანი უკვე მიმოფანტულები იყვნენ სასადილოს სხვადასხვა კუთხეში. სირცხვილის გრძნობამ თვალზე მომდგარი ცრემლი გადამაყლაპინა და მივესალმე მოხუცებს. უმწეოებში უცხო სახის დანახვამ ინტერესი გამოიწვია და სამუზეუმო ექსპონატის რანგში აყვანილივით დამათვალიერეს. მასპინძელმა მათ უთხრა, რომ ჟურნალისტი ეწვიათ. მოხუცებმა წამიერად ისევ შემათვალიერეს და საჩქაროდ ისევ თავიანთ საქმეს შეუდგნენ. ზოგი ჭამდა, ზოგიც ქილებსა და საკვების კონტეინერებს იღებდა მოძველებული ჩანთებიდან.

უმწეოებს უცებ ერთი აშკარად სლავური წარმოშობის მამაკაცი გამოეყო და ქალბატონ ბელას რუსულად შესჩივლა, რომ გუშინ საშობაო განსხვავებული ულუფა არ შემხვდაო. მასპინძელს გაეღიმა და ჰკითხა სერიოჟას, როგორ არ მიგიღია, გუშინ მამა გიორგიმ ალილოზე რაც შეაგროვა, ყველა თქვენგანს თანაბრად გადაგინაწილეთო. სერიოჟამ რამდენჯერმე ,,კლიანუს“ დაიძახა, მაგრამ სწრაფად გააჩუმეს დანარჩენებმა: როგორ არ მიიღეო.

– თუ ერთ სიმღერას გვიმღერებ, ჩვენ კიდევ გვაქვს ერთი ულუფა შემორჩენილი გუშინდელი დღიდან და დაგითმობთო.

სერიოჟამაც არ დაადგიანა, პლასტმასის ბოთლი სასწრაფოდ შეატრიალა ხელში და მიკროფონის მსგავსად დაიჭირა. შემდეგ დემონსტრაციულად მთელი დარბაზი შემოიარა ,,ნოვოგოდნაია პესნიით“, თან აგვიხსნა, რომ სიმღერა მისი იყო.

კედელზე გამოკრულმა დღის მენიუმ თვალი მომტაცა:

1.ქათმის ხარშო 2.ბრინჯის ფაფა 3.კისელი 4.პური

თურმე უმწეოთა კვება ერთჯერადად ეწყობა ყოველდღიურად, კვირის გარდა და მენიუში სხვადასხვა დღეს სხვადასხვა პროდუქტი შედის(ლობიო, ბორშჩი, ყველი, მაკარონი, კარაქი, შუშხუნა ტკბილი სასმელი...)

ასი უმწეო, რომელიც ჭიათურის ამ სასადილოს ყოველდღიურად აკითხავს, ჩემივე შეტყობით მიეკუთვნება სოციალურად უკიდურესად გაჭირვებულთა ფენას, სამწუხაროდ ამ ადამიანთა რიგში იყვნენ შეზღუდული უნარების მქონე ადამიანები და მარტოობისაგან გატანჯული ადამიანები.

ინდმეწარმისაგან სასადილოს ბიუჯეტი მოვიკითხე, რომელიც წლიურად შეადგენს 57 ათას ლარს, აქედან თვიურად იხარჯება 5200 ლარი, კომუნალურ მომსახურებასა და 4 თანამშრომელზე იხარჯება თვეში დაახლოებით 1150 ლარი.

ჩემს შეკითხვაზე, თუ იყო ქველმოქმედების სახით დამატებითი შემოსავალი უმწეოთათვის, მიპასუხეს, რომ დროდადრო ხდება ასეთი რამეც (,,ჯორჯიანმანგანეზს“ არც ისე დიდი ხნის წინ რამდენიმე პაკეტი ჰუმანიტარული ტვირთი მიუტანია, მამა გიორგის (წერეთლის) მრევლიც აქტიურობს თურმე). უბრალოდ, დაემთხვა თუ მწარეენიანი ჟურნალისტის ,,მოსატკბობი“ საშუალება ,,ზემოდან“ მოევლინა, არ ვიცი, მაგრამ ჩემი სტუმრობის დროს ქალბატონ ბელას მოაკითხა ერთმა ადამიანმა(ზინა გველესიანმა), რომელმაც 150 ლარი დატოვა, ძველით ახალი წლისათვის ტკბილეული დაუმატეთ მოხუცებს ამ ფულით, მამაჩემი ცოტაოდენ ღვინოსაც ჩამოუტანს და ტანსაცმელებსაც მოვძებნი მათთვისო. მოკლედ, გავიფიქრე, რომ კარგ ფეხზე შევედი ამ სასადილოში. ერთი რამე მაოცებდა, მომსახურე პერსონალი ისეთი ხალისიანი ჩანდა, ვიფიქრე, ამათ ნამდვილად აკლიათ, თორემ აქ გაღიმება როგორ უნდა შეძლოს ადამიანმა-მეთქი?! თურმე, ცოდვა გამხელილი სჯობია, ძალიან ვცდებოდი! ეს ხალხი ისე მალე გამიშინაურდა, რომ წამოსვლაც მიძნელდებოდა, რადგან განსაკუთრებული და კოლორიტული ადამიანები აღმოჩნდნენ...

სამზარეულოსა და საკუჭნაოში ვითხოვე შესვლა და უყოყმანოდ შემიძღვნენ იქ, სადაც ოდნავ ანტისანიტარიასაც ვერ ნახავდით. ქვაბში რა საგემოვნო თვისებების პროდუქტი იყო, არ გამისინჯავს, მაგრამ ქვაბები სასიამოვნოდ პრიალებდა გარედან და დაჭრილ მწვანილსაც ეტყობოდა, რომ ახალი იყო. მზარეულმა ნანა ჭუმბურიძემ საგულდაგულოდ ამიხსნა, როგორ და საიდან მოაქვთ გაუყინავი ხორცი, მწვანილი და პური. თუ როგორ უძლებდნენ ამ სტრესულ გარემოს, მან და მისმა თანაშემწემ მითხრეს: ძალიან პრეტენზიული ხალხი არიან, მაგრამ მათ ღიმილი, სითბო, მოფერება და კარგი კვება სჭირდებათ, მხოლოდ ერთი ადამიანია 100 უმწეოთაგან, რომელიც ვერაფრით მოვატკბეთ. დადის და იძახის, ბელა გამხდარი იყო, აქ რომ მოვიდა და ახლა ტყავში აღარ ეტევა ჩვენი ფულითო. კრიტიკული თვალით შევხედე ინდმეწარმეს, მაგრამ სიმსუქნის ნამდვილად ვერაფერი შევატყვე! დამლაგებელი ჩაერია საუბარში და თქვა, ის ისეთია, მას კეთილის თქმის უნარი დაეკარგა, იმდენი უბედურება აქვს გადატანილიო. თურმე თანამშრომლებს ატირებდა მისი მწარე სიტყვები, მაგრამ ახლა ყველა შეეჩვია და ისიც ჩვენი განუყოფელი ნაწილიაო, დაურთეს ბოლოს.

– ახლა მალე ტენდერი ჩატარდება, ვაითუ ჩვენმა ჯგუფმა ვერ გაიმარჯვოს, მერე რა გვეშველება, ჩვენთვის ეს სამსახური მარტო შემოსავალი კი არა, დიდი სიყვარულიცაა, ამ მოხუცების გარეშე ჩვენ ყველას ძალიან გაგვიჭირდება, –დაამატა მარინა ჯაჯანიძემ.

სოციალურად შეჭირვებულთა შორის ერთი ყოჩაღი შესახედაობის მოხუცი შევარჩიე, ქალბატონი თინა, რომელიც ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა და ისე კოხტად ჩამოაყალიბა უპოვართა სასადილოს ცხრაწლიანი ისტორია და მისი განვითარების სტადიები, რომ ყველა რიტორს შეშურდებოდა.

როცა ფოტოს გადაღება ვთხოვე, სტატიისთვის მინდა-მეთქი, სასწრაფოდ სათვალე მოიცილა, პოზა დაიკავა და ღიმილით თქვა, იქნება ვინმეს მოვეწონოო და ბედმაც გამიჭრასო. ქალბატონმა თინამ ხუთივე ქალბატონი სიყვარულით მოიხსენია და მამა გიორგიც არ დავიწყებია, კარგი მამაოა, სულ ვახსოვართო.

ქალბატონ თინას დავეკითხე, თქვენს სასადილოში მიშას, ბიძინას და ილია მეორის გამოფენილ ფოტოებს როგორ უყურებთ? არ არის ეს რაღაც კონტრასტული-მეთქი?

– მიშას არ დავუკარგოთ ის დამსახურება, რომ მაგან თქვა პირველმა, უმწეოთა სასადილოები გავხსნათო. ბიძინასი კიდევ ძალიან დიდი იმედი გვაქვს და ილია მეორე ჩვენი სულიერი მამაა და აუცილებლად უნდა იყოს!

ამ სიტყვების დასრულებისთანავე ერთი მოხუცი კაცი წამოიჭრა სკამიდან და აღელვებულმა მითხრა:

– ხო ხარ ჟურნალისტი? აქ ჩვენი აზრების მოსმენას სჯობია, მაგ სატანის საწინააღმდეგო ხელმოწერები შეაგროვო. მიშას საქციელის გამო გამათხოვრებული ვარ მე! რეგრესის პენსიონერი ვარ და 6 წლის პენსია დავკარგე. რა მინდა მე აქ, როცა ამდენი ფული აქვს ჩემი შეჭმული მაგას, მომცეს ჩემი კუთვნილი და იქით ვაჭმევ სხვას! 20 იანვრის მერე თუ მაგის ფოტო კედელზე დამხვდა კიდევ, აუცილებლად ამ ჯოხით ჩამოვაგდებ!

გაცეცხლებულ მოხუცს დამშვიდება ვთხოვე და იქვე დავეკითხე: ბაბუ, მიშა არ მოგწონს, მაგრამ ახალ ხელისუფალზე რას იტყვი?

– ახლები?! ბიძინა კაი კაცია ძალიან. ეგ აფინანსებდა ადრე ჭიათურის ინვალიდთა საავადმყოფოს, კვებაც კარგი გვქონდა იქ, გათბობაც და წამლობაც. ახლა აღარ აფინანსებს და აღარც საჭმელია ყუათიანი, აღარც წამალი! წამალს ყველა ავადმყოფს ერთსა და იმავეს გვასმევენ. სამჯერ მოაქვთ საჭმელი და აქ მოტანილი ერთი ჯერი ბევრად უფრო ნოყიერია, ვიდრე იმათი სამჯერადი! იმ საავადმყოფოს უფროსს იმხელა კისერი აქვს, ,,დრუუბით“ რომ მიადგე, მაინც ვერ მოხერხავ! მომარაგების უფროსს ერთხელ უკან მივყევი, ხორცს საიდანაც ყიდულობდა, ორნაირად ააწონინა ხორცი, ერთი ნაწილი სულ რბილი და მეორე–მარტო ძვალი! იმ ძვლიანით ჩვენ გვიკეთებენ საკვებს და თავად ალბათ რბილი ნაწილებით იკვებებიან! ისე, ახლანდელი მაჟორიტარი კაი კაცი არ უნდა იყოს, მე ვუთხარი, იმ საავადმყოფოს უფროსს ჯოხი უნდა ჩავარტყა და დამიშალა, არ დაარტყაო!

აღშფოთებულ შოთა ბაბუას ვუთხარი: ოდესმე ვნახავ იმ საავადმყოფოს ხალხს და ყველაფერს ვეტყვი და იქნებ, მოვაგვაროთ ყველაფერი!

არმენოფობიასაც კი დასწამებდა შოთა ბაბუს თავგადაკლული ლიბერალი ისე! მიშა სომეხია და ჩვენ, ქართველები, ფეხებზე ვკიდივართო. მე ვუთხარი, რა მნიშვნელობა აქვს ეროვნებას-მეთქი და კიდევ უფრო გაცეცხლებულმა მკითხა, შენც სომეხი ხომ არ ხარო. ეროვნების დასამტკიცებლად ღიმილით ჩემი უზარმაზარი პრეს-ბარათი გადავეცი, რომელიც ყველა უმწეოს ხელში მონაცვლეობით გადავიდა. მერე ოდნავ მოკუჭული ლამინირებული ბარათი დავიბრუნე და კისერზე დიდი ამბით ჩამოვიკიდე, არიქა, კიდევ შემოვა სხვა უმწეო და იცოდეს, ვინც ვარ და ვისი გორისა!(ესეც რა გამოხდომაა ახლა ჩემი მხრიდან ნეტავ?!)

ერთმა ოდნავ ტუჩებშეღებილმა ბებომ თითიმ მიმიხმო და მითხრა: მე ქსენია მქვია და ბიძინას ხალხის დიდი იმედი მაქვს, ეს შოთა კიდე რომ ხმაურობს, ყური არ უგდო მაინცდამაინც, გაღიზიანებულიაო. მერე ექვსი ადამიანის წილი ჩანთაში ჩაალაგა და თქვა: ეს საწყლები აქამდეც ვერ მოდიან და მე უნდა მივუტანოო. მერე ჩუმად მითხრა: აქ ვიღაცას უნდა თურმე ბელას მაგივრად მოვიდეს, ჩვენ ბელა ძალიან გვიყვარს, ღიმილიანი და თბილი ადამიანია და თუ შეგიძლია, რამენაირად დაგვიტოვეო. ღიმილით ავუხსენი, მე ეგ არ შემიძლია, თუ თქვენ გინდათ, ალბათ დატოვებენ თქვენთან თქვენს ბელას (არ ამიხსნია, რომ ტენდერში ვერაფერს გავახერხებდი ვერც მე და მთელი ქართული ჟურნალისტიკა)!

რადგან მომდევნო ორშაბათს ძველი სტილით ახალი წელი დგება და იმერეთში ძველით ახალ წელს დიდი ზეიმით აღნიშნავენ, ამიტომ მუნიციპალიტეტის გამგებელს მივაკითხე კაბინეტში და უმწეოთა შესახებ დავეკითხე.

,,სამწუხაროდ, წელს კიდევ უნდა გაიზარდოს მიუსაფართა რაოდენობა მაგ სასადილოში. დაფინანსებასაც გავუზრდით, სამწუხაროა, რომ ასეთი გაჭირვებული ხალხი კიდევ გვყავს, მაგრამ მათთვის ჩვენ ყველაფერს ვეცდებით, რომ მარტოსულად და მიტოვებულად არ იგრძნონ თავი“,–აღნიშნა სულხან მახათაძემ. მოხერხებულად ჩავურთე საუბარში, რომ 14 იანვარს მოხუცებთან ხომ არ მიხვალ-მეთქი.

– აუცილებლად მივალ, და მივალ არა იმით, რომ ვუთხრა, მუნიციპალიტეტი თქვენ გაფინანსებთ-მეთქი. ვიცი, რომ ამ მოხუცებს ყურადღება ესიამოვნებათ.

იგივე ვუთხარი საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელსა და მაჟორიტარ დეპუტატსაც. ყველა აპირებს წასვლას 14 იანვარს უმწეოებთან.

სხვისი ხელით ნარის გლეჯა ადვილია, ამიტომ ჩემი მხრიდან მოხუცებს ვპირდები, რომ ოდესმე ზემოიმერული ღვინით მივაკითხავ და მათი დღეგრძელობისას ერთად ვიტყვით!

ლელა წურწუმია საქართველოდან არ წასულა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ადასტურა, რომ მომღერლის მანქანა ნამდვილად დაკაწრეს, თუმცა მასთან ერთად კიდევ რამდენიმე მანქანა გაფუჭდა. მომღერლის მანქანას უცნობმა ადამიანმა დანით შემოუარა, დახაზა და „კაპოტიც“ დაუზიანა. პირველ ჭორს მეორე ჭორიც დაერთო, რომ ლელას ბენზინგასამართ სადგურზე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს – აგინეს. ორივე ჭორი მომღერლის პროდიუსერმა დაადასტურა, თუმცა მაშინ მამულიჩამ განაცხადა, რომ მისთვის არ იყო ცნობილი დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა, ამიტომ ამ ამბების პოლიტიკასთან დაკავშირება გაუჭირდა.

ჯერ კიდევ ორიოდე დღის გავრცელებული ვერსიები – გაექცა თუ არა ლელა წურწუმია საქართველოში შექმნილ ვითარებას თუ ნამდვილად ვარსკვლავური კარიერა და თავბრუდამხვევი კონტრაქტები ელოდება სომხეთში, ტყუილი აღმოჩნდა.

ეკა ირემაშვილი

რა ბედი ელის ბაგრატის ტაძარს?

ეკა ირემაშვილი

ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა ბედი ელის დიდი ზარ-ზეიმით გახსნილ რესტავრირებულ და აღდგენილ ბაგრატის ტაძარს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ბელგიასა და საფრანგეთში ვიზიტები დაგეგმა და მოადგილესთან მარინე მიზანდართან ერთად პარიზში, იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილე ფრანჩესკო ბანდარინის შეხვდა.

როგორც კულტურის სამინისტრო იუწყება, შეხვედრაზე ბაგრატის საკითხიც განიხილეს. იუნესკოში აღინიშნა, რომ ბაგრატის განახლების პროექტი არ იყო მათთან შეთანხმებული, არ იქნა დაცული რეკონსტრუქციის კრიტერიუმები, რაც ტაძრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოვარდნას გამოიწვევს. ბანდარინიმ აღნიშნა, რომ დაირღვა ძეგლის ავთენტურობა და როგორც თვითმყოფადი ნიმუში, ის ნუსხაში ვეღარ დარჩება. ფრანჩესკო ბანდარინი ქართულ მხარეს ერთგვარი კომპრომისული ფორმის მოძიებას სთავაზობს.

კულტურის მინისტრის მოადგილის მარინე მიზანდარის განმარტებით, შესაძლოა მოხდეს ახალი საზღვრების დადგენა გელათის ნომინაციაში, სადაც აქცენტი უდაოდ დადავა გელათზე, ხოლო ბაგრატი დიდი ძალისხმევის შედეგად, შესაძლოა მოექცეს მის არეალში, იგულისხმება არა მხოლოდ გეოგრაფიული არეალი, არამედ ისტორიულ-მხატვრული ღირებულებები და სხვა უამრავი საკითხი, რითაც საქართველო ბაგრატის დაცვას შეძლებს. ამისთვის კი ძალიან საფუძვლიანი დასაბუთება და მტკიცებულება იქნება საჭირო.

კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას თქმით, ქართული მხარე შეეცდება ახალი დოკუმენტაციის მომზადებას და პირველ თებერვალს, იუნესკოს კომიტეტის სესიაზე წარდგენას.

– ბაგრატის ტაძარს, შესაძლოა, იუნესკოს მფარველობა მოეხსნას. ხანდახან რესტავრაციის დროს საერთოდ დგება საშიშროება ძეგლის დაკარგვის ანუ მფარველობის დაკარგვის საფრთხე იუნესკოში. დაახლოებით მსგავსი რაღაც არის ბაგრატთან დაკავშირებით. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, რადგან კომიტეტის სხდომა პირველ თებერვალს არის დაგეგმილი. არ ვიცი, რამდენად მოვასწრებთ საბუთების მომზადებას იმასთან დაკავშირებით, რომ როგორმე შენარჩუნდეს ბაგრატი, როგორც ძეგლი. არსებობს რამდენიმე ვარიანტი და ამაზეც ვისაუბრეთ. თუ საბუთების მომზადება ვერ მოვასწარით, ვთხოვთ, ეს საკითხი გადადონ, – ამბობს მინისტრი.

იუნესკოს წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ დღევანდელი ბაგრატი „იუნესკოს“ ნორმებს აღარ შეესაბამება და ის ასეთი სახით კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ვეღარ დარჩება.

– „იუნესკოს“ ექნება დიდი მცდელობა, რომ ელეგანტური ფორმით მოხდეს ახალი საზღვრების დადგენა გელათის ნომინაციაში, სადაც ბაგრატი შესულია არქეოლოგიური ძეგლის სტატუსით და გაკეთდეს ისე, რომ ბაგრატზე იუნესკოს მხრიდან მახვილი საერთოდ აღარ იქნეს დასმული და ძეგლის სტატუსის ტვირთი გელათმა და მისმა მიმდებარე ტერიტორიამ იტვირთოს, რომელშიც, სავარაუდოდ, ბაგრატიც იქნება მოქცეული და ასეთი ფორმით გაკეთდეს ახალ ნომინაციაზე მოთხოვნა, ახალი საზღვრებით და ბაგრატი იქნება როგორც ამ ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი ძეგლთაგანი და არა როგორც ბაგრატი თავისთავად, რადგან „იუნესკოს“ ნორმებს დღევანდელი ბაგრატი აღარ შეესაბამება და ის ასეთი სახით კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ვეღარ დარჩება, – განმარტავს კულტურის მინისტრის მოადგილე.

გურამ ოდიშარიამ და მარინე მიზანდარმა შეხვედრა გამართეს იკომოსში – ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოში. მინისტრი და მისი პირველი მოადგილე იკომოსის მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამის დირექტორმა რეგინა დურიგელომ მიიღო. იკომოსშიც აქცენტი ბაგრატსა და მცხეთის ძეგლებზე გაკეთდა, საუბარი ასევე, შეეხო მომავალ თანამშრომლობასაც.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის პირველი მოადგილე მიზანდარი 9 იანვარს შეხვდნენ ტელეკომპანია „არტეს“ გენერალურ დირექტორსა და საერთაშორისო პროგრამების დირექტორს. საუბარი შეეხო ფრანგულ-გერმანული არხის არტეს ტიპის კულტურულ-შემეცნებითი არხის ამოქმედებას საქართველოში.

დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი შეხვდნენ ქართულ სათვისტომოს ბრიუსელში. მიღება ბრიუსელში 6 იანვარს შედგა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით იუნესკო საბოლოო გადაწყვეტილებას 2014 წლისათვის მიიღებს. მისივე თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო მზადაა, იუნესკოსთან მოლაპარაკებები აწარმოოს და არ დაუშვას ტაძრის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ამოღება. მანამდე კი საგარეო საქმეთა სამინისტრო კონსულტაციებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან გამართავს.

„ღმერთი – სამშობლო – ადამიანი“ – ეძღვნება პატრიარქს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დაბადებიდან 80 და აღსაყრდებიდან 35 წლის იუბილეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება უკვე მიეძღვნა და მომავალშიც არაერთი მსგავსი პროექტია დაგეგმილი. როგორც პარტრიარქის ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია განმარტავს, მთელი წლის განმავლობაში არაერთი კულტურული თუ სამეცნიერო ღონისძიება გაიმართება, რომელიც მისი უწმინდესობის იუბილესთან იქნება დაკავშირებული.

ამ მნიშვნელოვანი თარიღის გამო, საქართველოს საპატიო სტუმრები სტუმრობენ. თბილისში ბულგარეთის პატრიარქის მოსაყდრე კირილი ჩამობრძანდა. იგი თბილისის აეროპორტში თანმხლებ პირებთან ერთად ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა. მას წმინდა სინოდის წევრები და მღვდელმთავრები შეეგებდნენ.

ამ ვიზიტთან დაკავშირებით მღვდელმთავარმა კირილმა აეროპორტში მყოფი მასმედიის წარმომადგენლებისთვის ჟურნალისტებისათვის მცირე კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, იგი მადლობელია, რომ კიდევ ერთხელ იმყოფება „ღვთივკურთხეულ ქართულ მიწაზე“. ქართველებსა და ბულგარელებს კი ერთი რწმენა – მართლმადიდებლობა აკავშირებთ. როგორც მღვდელმთავარმა კირილმა განმარტა, ის 30 წლის წინ იმყოფებოდა საქართველოში და მონაწილეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში. ახლა კი ბედნიერია, რომ კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა საიუბილეო ღონისძიებებს დაესწროს.

პატრიარქის მოსაყდრემ აღნიშნა, რომ ბულგარელი და ქართველი ხალხის და ეკლესიის ურთიერთობები ძალიან ღრმაა. მან ისაუბრა ილია მეორის შესახებაც, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ ილია მეორე ბევრს აკეთებს მორწმუნე ქართველი ერისათვის, „იგი ნამდვილად კეთილი მწყემსია, რომელიც ზრუნავს თავის სამწყსოზე“. მღვდელმთავარმა კირილმა ჯანმრთელობა და დიდხანს მოღვაწეობა უსურვა ჩვენს პატრიარქს.

საქართველოში ასევე ჩამობრძანდა მსოფლიო პატრიარქი, ყოვლადუწმინდესი ბართლომე I, ჩეხეთისა და სლოვაკიის ეკლესიის წინამძღოლი, მიტროპოლიტი ქრისტეფორე და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების დელეგაციები. მათ უწმინდესი საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღებს. უწმინდესის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით მომდევნო დღეებში ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას 11 ქვეყნიდან ელოდებიან, რომელთაგან ოთხი ეკლესიის მეთაურია. 11 იანვარს დილიდან საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება. იმავე დღეს კი სტუმრები შეხვდებიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს და პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს.

როგორც საპატრიარქო იუწყება, ამ საღამოს საზეიმო კონცერტი დასრულებს, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნება. კონცერტი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება და მას დაესწრებიან მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს პირველი, სერბეთის პატრიარქი, სრულიად ჩეხეთისა და სლოვაკიის მიტროპოლიტი, ასევე საპატიო სტუმრები. კონცერტს დაესწრებიან წმინდა სინოდის წევრები, უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეები, მინისტრის მრჩევლები, მოწვეული სტუმრები.

კონცერტში მონაწილეობას იღებენ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორები ვახტანგ კახიძე და ზვიად ბოლქვაძე, სოლისტები ბადრი მაისურაძე, ლადო ათანელი, ირინა ალექსიძე, ანა აგლატოვა (დიდი თეატრის სოლისტი), თბილისის ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი, თბილისის ოპერის გუნდი, ანსამბლები „ბასიანი“, „სუხიშვილები“, „ერისიონი“, „რუსთავი“, ბავშვთა გუნდები „მართვე“, „მძლეავარი“. საიუბილეო საღამოზე შესრულდება საუკეთესო ნიმუშები ქართული ფოლკლორიდან – ტრადიციული ქართული მრავალხმიანობა, ქართული ცეკვები, საგალობლები და პატრიარქის ნაწარმოებები. კონცერტის რეჟისორია დავით საყვარელიძე. სტუმრებს კონცერტზე საჩუქრად გადაეცემათ პატრიარქის ეპისტოლეების საიუბილეო გამოცემა. მასში თავმოყრილია პატრიარქის 1978-2012 წლების საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოიცა. საიუბილეო საღამო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება.

12 იანვარს სტუმრები მოილოცავენ დავით-გარეჯის, შიომღვიმისა და ბოდბის მონასტრებს. 13 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სამების საკათედრო ტაძარში სხვადასხვა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად საზეიმო წირვას აღავლენს. კათოლიკოს-პატრიარქის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები 14 იანვრამდე გაგრძელდება. სხვადასხვა ქვეყნის სასულიერო პირები თბილისს 14 იანვარს დატოვებენ.

საქართველოს პატრიარქი უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა მეორე ხარისხის ორდენით ,,დამსახურებისთვის“ დააჯილდოვა. ეს ინფორმაცია უკრაინის პრეზიდენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ ბრძანებულებაშია აღნიშნული. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს პატრიარქს აღნიშნული ჯილდო საქართველო-უკრაინას შორის კულტურულ-სასულიერო კავშირების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის გადაეცა.

ეკა ირემაშვილი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩანერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

საქართველოს ნაკრები მალტიდან მეორე ადგილით ბრუნდება

მალტის საერთაშორისო ტურნირი ფუტსალში დასრულდა. საქართველოს ნაკრებმა ბოლო შეხვედრა ინგლისელთა წინააღმდეგ გამართა. მატჩი დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. პირველი ნახევარი ინგლისელთა გამარჯვებით დასრულდა – 0:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში ლიუკ ბელინჯერის ზუსტად შესრულებული დარტყმის შემდეგ ინგლისელებთან 0:2 ვაგებდით, თუმცა სებისკვერაძის და მაისაიას შორიდან გასროლილებმა მიზანს მიაღწიეს – 2:2.

ეს ფრე საკმარისი აღმოჩნდა, საქართველოს ნაკრებს ტურნირზე მეორე ადგილი დაეკავებინა, რადგან ინგლისელებს ბურთების შეფარდებით აჯობა.

პირველ ადგილზე საბერძნეთის ნაკრები გავიდა, რომელთანაც ჩვენებმა სასტარტო მატჩი 2:4 დათმეს, ბოლო ადგილი კი ჩვენგან განადგურებულ მალტელებს (10:1) ერგოთ.

როგორც ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივანი ბექა კვიციანი იტყობინება, სექტემბერში ან ოქტომბერში ბრიტანელთა ფუტსალის ეროვნული ნაკრები თბილისს ეწვევა და ასათიანის შეგირდების წინააღმდეგ ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ინგლისის ფედერაცია საქართველოს ფუტსალის ასოციაციიდან მიწვევას უახლოეს კვირაში ელოდება.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის ევროპირველობის შესარჩევი ბ ჯგუფის მატჩები ასევე მალტაში 22-27 იანვარს შედგება და იქ მასპინძელთა გარდა, საქართველოს და მოლდოვას ნაკრებებიც ითამაშებენ. ამ სამეულიდან საუკეთესო ძირითად რაუნდში გააღწევს, სადაც მე-6 ჯგუფში ჩეხეთს, ბელარუსს და ჰოლანდიას (მასპინძელი) გაეჯიბრება.

ყველაზე ახალგაზრდა საფეხბურთო პრეზიდენტები ფორბსის ვერსიით

მას შემდეგ რაც, გასული წლის ბოლოს ანდრეი იაროსლავსკიმ საფეხბურთო კლუბი ხარკოვის „მეტალისტი“ „გაზ უკრაინის“ 27 წლის მეპატრონეს, სერგეი კურჩენკოს მიჰყიდა, „ფორბსი“ მსოფლიოში საფეხბურთო კლუბების ყველაზე ახალგაზრდა მფლობელებით დაინტერესდა.

საიმონ ჯორდანი – კრისტალ პალასი

2000 წელს, მაშინ ჯერ კიდევ 32 წლის საიმონ ჯორდანმა, ინგლისური კლუბი „კრისტალ პალასი“ შეიძინა. ბრიტანელმა ბიზნესმენმა მთელი თავისი ქონება მობილური ტელეფონების ვაჭრობით დააგროვა. საფეხბურთო კლუბის შესაძენად, რომელიც 58 მილიონი დოლარი დაუჯდა, საკუთარი ბიზნესის წილის გაყიდვაც მოუხდა.

იმ მომენტისთვის „კრისტალ პალასი“ ინგლისური საფეხბურთო ლიგის პირველ დივიზიონში ასპარეზობდა, თუმცა პირველივე პრესკონფერენციაზე, სადაც საიმონ ჯორდანი უკვე კლუბის მფლობელის რანგში წარსდგა, პირობა დადო, რომ 4-5 წელიწადში გუნდს პრემიერლიგაში დააბრუნებდა. ბიზნესმენმა დანაპირები შეასრულა და 2004-05 წლების სეზონში „კრისტალ პალასი“ ინგლისის ელიტას დაუბრუნდა, თუმცა იქ დარჩენა დიდხანს არ მოუწია, სეზონის ბოლოს ნაჩვენები შედეგების მიხედვით, იგი ისევ ძველ ადგილას დაქვეითდა. გასული ათწლეულის ბოლოს კი ნათელი გახდა, რომ ჯორდანმა საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები ვერ გათვალა და იმისათვის, რომ კლუბს არსებობა არ შეეწყვიტა, მას მისი დატოვება მოუწია.

ნათან თინკერი – ნიუკასლ იუნაიტედ ჯეთსი

2010 წელს, 32 წლის ავსტრალიელმა მილიარდერმა ნათან თინკერმა ავსტრალიური საფეხბურთო კლუბი „ნიუკასლი“ შეიძინა. თინკერის ძირითადი ბიზნესი სამთო მადნეულის მომპოვებელი საწარმო იყო. მისი ქონება კი საფეხბურთო ინვესტიციის განხორციელების მომენტში 1,2 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

„ნიუკასლი“ ავსტრალიის უმაღლესი ლიგის ბინადარია და თავისი 12-წლიანი არსებობის მანძილზე ჩემპიონის ტიტული მხოლოდ ერთხელ მოიპოვა. საფეხბურთო კლუბთან ერთად, მილიარდერმა სარაგბო კლუბი „ნიუკასლ ნაითსიც“ შეიძინა, ხოლო ორივე სუბიექტის სამართავად, ახალი კომპანია „ჰანტერ სპორტს გრუპიც“ ჩამოაყალიბა. მთავარი სიახლე, რაც თინკერმა კლუბში დანერგა, ეს ბილეთებზე ფასის მომატება და ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრთან ხელშეკრულების გაფორმება იყო, რომლის მიხედვითაც გუნდის მიერ გატანილ თითო გოლზე ცენტრს გარკვეული რაოდენობის თანხა ერიცხებოდა.

2012 წელს ნახშირზე ფასის ვარდნის გამო, ავსტრალიელის ქონება ლამის ორჯერ შემცირდა, რაც ავტომატურად მის სპორტულ ბიზნესსაც დაეტყო. ავსტრალიის საგადასახადო „ჰანტერ სპორტს გრუპის“ საქმიანობით დაინტერესდა. გამოძიების შემდეგ გაირკვა, რომ კომპანიას არსებობის ორი წლის მანძილზე საგადასახადო დავალიანების სახით 2,5 მილიონი დოლარი ერიცხებოდა.

ანტონ ზინგარევიჩი – რედინგი

მიმდინარე წლის დასაწყისში, კომპანია „თაიმს სპორტს ინვესტმენტმა“, რომელსაც 30 წლის რუსი ბიზნესმენი ანტონ ზინგარევიჩი ფლობს, ინგლისური საფეხბურთო კლუბის „რედინგის“ აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა. ბოლო ათწლეულის მანძილზე, „რედინგი“ თანაბრად ახერხებდა ორ დივიზიონში არსებობას. სეზონის დასაწყისში კი კვლავ დაწინაურდა პრემიერლიგაში, სადაც ამ მომენტისთვის ბოლო ადგილს იკავებს.

ანტონ ზინგარევიჩი რუსი მილიარდერის, ქალაქდის ბიზნესის მაგნატის ბორის ზინგარევიჩის შვილია. საფეხბურთო ინვესტიციას იგი, როგორც ბიზნესს, ისე განიხილავს, მიუხედავად იმისა, რომ „რედინგი“ განსაკუთრებული შედეგებით არ გამოირჩევა, ახალგაზრდა ბიზნესმენისთვის ის ეტაპობრივად განვითარებად სუბიექტს წარმოადგენს, რომელზეც სამომავლოდ დიდ იმედებს ამყარებს.

კრის ოიუკოკო – ქალაქ ლაგოსის ახალი საფეხბურთო კლუბი

19 წლის ნიგერიელმა ბიზნესმენმა კრის ოიუკოკო, რომელმაც ქვეყნის ყველაზე დიდი საინვესტიციო კომპანია „ტრანშტენ ჰოლდინგი“ დააფუძნა, ქალაქ ლაგოსში არათუ კლუბი, არამედ მთლიანი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ფეხბურთი ნიგერიაში საკმაოდ პოპულარული სპორტია და ნიგერიის ნაკრებიც გამორჩეულია მთელ კონტინენტზე, თავად ლაგოსი ნიგერიის საფეხბურთო რუკაზე ფაქტობრივად არ არსებობს. ქალაქის კლუბი „იულიუს ბერგერი“ მხოლოდ ქვედა დივიზიონებში ასპარეზობით „გამოირჩევა“.

რეალურად ოიუკოკომ შეიძინა კლუბი, რომელიც არც არსებობს, თუმცა სერიოზულ ინვესტიციებს გეგმავს. პირველ ეტაპზე ეს თანხა 60 მილიონი დოლარია, რომლის ძირითადი ნაწილი სტადიონის მშენებლობას მოხმარდება.

ტომ და ჯოშ მიტჩელები – დორჩესტერ თაუნი

21 წლის ტომ მიჩელი და მისი 18 წლის ძმა ჯოში, მსოფლიოში საფეხბურთო კლუბის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელები გახდნენ. ინგლისის სამხრეთ კონფერენციაში მოთამაშე „დორჩესტერ თაუნი“ მათ მემკვიდრეობით მამისგან ერგოთ.

საფეხბურთო მენეჯმენტში ყმაწვილების გამოცდილება კი მხოლოდ ვირტუალური იყო, ისინი საფეხბურთო მენეჯერის მხოლოდ კომპიუტერულ ვერსიას იცნობდნენ, თუმცა მემკვიდრეობის მიღების შემდეგ მათი „გართობა“ რეალურ სამყაროში გაგრძელდა.

შავდათუაშვილი უკონკურენტოა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ საქართველოს 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენად ოლიმპიური ჩემპიონი, ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი დაასახელა. დღეს, ფილარმონიის „ივენთ ჰოლში“ გამართულ სეზონის შემაჯამებელ ღონისძიებაზე საუკეთესოები სულ 5 ნომინაციაში გამოვლინდნენ.

ცერემონიალზე შესავალი სიტყვით სამინისტრო წარსდგა, რომლის სახელითაც გასული სეზონი მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ მიმოიხილა.

თამაზ თევზაძე:

– ვსარგებლობ შემთხვევით და შარშანდელი სეზონის წარმატებულ სპორტსმენებს ვულოცავ მიღწევებს. აგრეთვე, დიდი მადლობა მათ მწვრთნელებს და აღვნიშნავ ფედერაციების მეტ-ნაკლებად გამართულ მუშაობას, რამაც განაპირობა მიღწევებიც და წარუმატებლობებიც. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ საქართველოში ჩატარდა მთელი რიგი საერთაშორისო შეჯიბრებები, რაც საამაყოა ქვეყნისთვის და ეს სამომავლოდაც პრიორიტეტი იქნება. ამით სპორტში ჩაბმის პროპაგანდას გავუწევთ ჩვენს ახალგაზრდებს, საამისოდ მეტ მოტივაციას გავუჩენთ მათ. ქვეყნისთვის პრესტიჟულ საერთაშორისო შეჯიბრებათა შორის

დავასახელებ ჭადრაკში გამართულ ქალთა ძლიერ ტურნირს, აგრეთვე – ბლიცსა და სწრაფ ჭადრაკში. საქართველოში გაჩნდა პლაჟის ხელბურთი და ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატსაც ვუმასპინძლეთ. გაიმართა წყალბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება და სხვა.

სხდომაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შარშან გარდაცვლილ სპორტსმენთა ხსოვნას, თუმცა ვინმე არ გამოგვრჩესო და საერთო სახელით სამი გარდაცვლილი ლეგენდა დაასახელეს – „ოქროს თაობის“ ფეხბურთელი რამაზ შენგელია, ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში ვლადიმერ აფციაური და ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაღუპული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი სამბოში არჩილ ჩოხელი.

2012 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ამირან იანვარაშვილი დასახელდა. მას კონკურენციას 20 წლამდე ძიუდოისტთა შორის ევროპის ჩემპიონი ლევან მატიაშვილი და ნბა-ს კლუბ „ბრუკლინ ნეთსის“ წევრი თორნიკე შენგელია უწევდნენ. ახალგაზრდა სპორტსმენს, გარდა ამისა, ჯამლეტ ხუხაშვილმა კოტე მახარაძის თასიც გადასცა.

2012 წლის საუკეთესო გუნდად 17-წლამდელთა ნაკრები დასახელდა. ამ ნომინაციაში წარგენილნი კალათბურთისა და რაგბის ეროვნული ნაკრებებიც იყვნენ.

აქვე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იმ დაუვიწყარი თამაშების შემოქმედნი, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოინადირეს:

ალექსანდრე ძაძამია, ნიკა შერმადინი, ოთარ კაკაბაძე, ლაშა დვალი, ნიკა ჭანტურია (კაპიტანი), გიგა სამხარაძე, ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, გიორგი აბურჯანია, გიორგი გოროზია, გიორგი პაპუნაშვილი, ივანე წილოსანი, ნიკოლოზ ახვლედიანი, დავით დარციმელია, მათე ცინცაძე, დავით ჯიქია, ალექსანდრე მზევაშვილი, გიორგი გაბაძე და არჩილ მესხი.

2012 წლის საუკეთესო სპორტული ფედერაციის ნომინაციაში, სადაც წარდგენილი იყო კალათბურთის ფედერაცია, რაგბის კავშირი და ფეხბურთის ფედერაცია, რაგბის კავშირმა გაიმარჯვა. კუთვნილი ჯილდო მოჭადრაკემ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ, აზმაიფარაშვილმა გადასცა.

2012 წლის საუკეთესო მწვრთნელი კი ნიკოლოზ ბიბილაშვილი (ლაშა შავდათუაშვილის მწვრთნელი) გახდა. ოლიმპიური ჩემპიონის მწვრთნელმა, 17-წლამდელთა ნაკრების თავკაც ვასილ მაისურაძესა და თავისუფალი სტილის ნაკრების ყოფილ დამრიგებელ ზაზა თურმანიძეს აჯობა.

ბოლო ნომინაციის, ანუ წლის საუკეთესო სპორტსმენის დასახელების პატივი წილად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანს ხვდა წილად, რომელმაც ამ საპატიო მისიის შესრულებამდე საზოგადოებას ჯერ მრჩეველთა საბჭო წარუდგინა, რომელშიც ქართული სპორტის თანავარსკვლავედი შედის:

ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, რომან რურუა, მზია ჯუღელი, ქეთევან ლოსაბერიძე, გურამ მინაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, თემურ ბენდიაშვილი, ჯემალ ცერცვაძე, გურამ საღარაძე, როსტომ აბაშიძე, გურამ პაპიტაშვილი, ჯუმბერ ლეჟავა, ჯანო ბაგრატიონი და ალექსანდრე მეტრეველი.

ყიფიანმა დამსწრეთ ორი სასიამოვნო ამბავიც ამცნო – წლეულს ქართული სპორტი აუცილებლად დაიბრუნებს სპორტის აკადემიას, ოღონდ უკვე სპორტის უნივერსიტეტის სახელით; ხოლო გაზაფხულზე, მარტ-აპრილში, სანეევი პრაქტიკულადაც დაეხმარება ქართულ სპორტს.

თურმე მას ამ დღეებში ისევ შეეხმიანნენ და ისიც სიხარულით დათანხმდა თანამშრომლობაზე, ხოლო სპორტის უნივერსიტეტის აღდგენაზე უკვე მთავრობაც თანახმაა და კონკრეტული ნაბიჯებიც იდგმება – მიმდინარეობს პარამეტრების შეჯერება. ორივე ინფორმაციას დარბაზი ტაშით შეხვდა.

საღამოს კულმინაცია წლის სპორტსმენის დაჯილდოება იყო და რაღა თქმა უნდა, ეს ჯილდო 2012 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს, ლაშა შავდათუაშვილს ერგო, რომელსაც ნომინაციაში კონკურენტები არ ჰყავდა.

სპორტის სამინისტრომ 2012 წლის ქართული სპორტის მთავარი მიღწევები ერთ ჟურნალში მოაქცია და ტრადიციულად წელსაც გამოსცა.

ლაშა შავდათუაშვილი:

– ძალიან ბედნიერი ვარ. ლონდონში გამარჯვების შემდეგ ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. ეს ჯილდო უფრო დიდ სტიმულს მაძლევს, რათა ჩემი შესაძლებლობები გავზარდო და უფრო მეტ წარმატებას მივაღწიო საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

ლევან ყიფიანი

– დღეს ჩვენ წლის საუკეთესოები დავასახელეთ. წლის სპორტსმენის ჯილდო უდაოდ ლაშა შავდათუაშვილს ეკუთვნოდა. იგი ერთადერთი ოქროს მედალოსანი გვყავს 2012 წლის ოლიმპიადაზე. ის არის ადამიანი, რომელმაც მოახერხა ქართული დროშა ყველზე მაღლა მდგარიყო ლონდონში. 2012 წელმა ჩაიარა. გამოვავლინეთ საუკეთესოები. ახლი წლიდან, ახალი ძალებით და შემართებით ვიმუშავებთ საქმეს, რათა ის მძიმე მემკვიდრეობა რაც გვერგო წინა მთავრობისგან გამოვასწოროთ, რომ მეტი მიღწევები გვქონდეს.

ნიკა ჭანტურია:

– მოხარულები ვართ, რომ ბიჭებს შრომა დაგვიფასდა. ჩვენ, ჩვენი მხრივ ვეცდებით ეს ნდობა და სიყვარული გავამართლოთ და უფრო მეტ წარმატებას მივაღწიოთ.

შეგახსენებთ, რომ წლის საუკეთესოს გამოსავლენად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ყოველ წელს ტრადიციულად ატარებს.

საკალათბურთო კალენდარში ცვლილებებია

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საკალათბურთო სუპერლიგისა და კლუბების ხელმძღვანელობა შეიკრიბნენ. მხარეებმა 2012-2013 წლების სეზონის ღონისძიებების კალენდარში ცვლილებების შეტანაზე მოილაპარაკეს და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს. კლუბების მწვრთნელებს რამდენიმე ვარიანტი ჰქონდათ შეთავაზებული, რომელთაგანაც ერთ-ერთი შეირჩა.

ცვლილებების შეტანის აუცილებლობა იმ საერთაშორისო ღონისძიებებმა გამოიწვია, რომლებსაც თბილისის სპორტის სასახლემ უნდა უმასპინძლოს. მოგეხსენებათ, იანვარში თბილისში ძიუდოს მსოფლიო თასი იმართება, მარტში ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატი, ხოლო აპრილში ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალი. აღნიშნულიდან გამომდინარე საკალათბურთო სეზონის კალენდარში ცვლილებები შევიდა.

აღსანიშნავია, რომ სუპერლიგის მეოთხედფინალები 23 აპრილს დაიწყება და „სპორტკომპლექს არენაზე“ გაიმართება. ქორქია-საკანდელიძის მემორიალს და თასის გათამაშებას (ფინალის გარდა) ვაკეში მდებარე „საკალათბურთო აკადემია“ უმასპინძლებს. რაც შეეხება ფინალს, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. „ყველა ვარსკვლავის მატჩს“ ტრადიციულად ქუთაისი უმასპინძლებს.

ეროვნულ ჩემპიონატს ლეგიონერები აკლდებიან

სუპერლიგის ჩემპიონის, თასისა და სუპერთასის მფლობელ „არმიას“ რიგები, ამერიკელებმა – კურტის მილიჯმა, დამეინ ვილსონმა, ბელგიელმა მარკუს ფეისონმა და შვედმა იოაკიმ შელბომმა დატოვეს. აქედან გამომდინარე, „არმია“ საერთოდ ლეგიონერების გარეშე დარჩა და, ჟერჯერობით, უცნობია, მიიღებს თუ არა ახალ შევსებას უცხოეთიდან,

ერთადერთი დანამატი მათ შემადგენლობაში, შესაძლოა, ბოლო დროს უგუნდოდ მყოფი ვახტანგ მინაშვილი გახდეს, რომელიც არმიელებთან ერთად ვარჯიშობს.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში, არმიელებმა 10-დან 2 შეხვედრა წააგეს და წინა წლებისგან განსხვავებით, ერთპიროვნული ლიდერობის ნაცვლად, „ოლიმპთან“, „შსს აკადემიასთან“ და „რუსთავთან“ ერთად, 1-4 ადგილებს ინაწილებს.

ასევე სათუოა საკალათბურთო სუპერლიგის ვიცე-ჩემპიონისა და ერთ-ერთი ლიდერის „ოლიმპის“ უცხოელი ლეგიონერების, ჩეხი ცენტრალური თავდამსხმელის ივო ჰოგერისა და სერბი ფორვარდის ნიკოლა ტუტუსის გუნდში დარჩენა.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი

ჩელსი-სუონსი 0:2

ესპანეთი. სამეფო თასი

სევილია-მალიორკა 1:2
რეალი-სელტა 4:0
სარაგოსა-ლევანტე 2:0

იტალია. თასი

იუვენტუსი-მილანი ..... 2:1(დდ)

თუჩქეთი. სუპერლიგა

აკჰისარი-ანთალია 1:0

კალათბურთი

ნბა. ჩეგეღაჩეი სეზონი

კლივლენდი-ატლანტა 99:83
ზაზა ფაჩულია: 8 ქულა, 10 მოხსნა
ტორონტო-ფილადელფია 90:72
შარლოტი-იუტა 102:112
ბოსტონი-ფინიქსი 87:79
ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი 88:79
ოკლაჰომა-მინესოტა 106:84
სან ანტონიო-ლეიკერსი 108:105
ჩიკაგო-მილუოკი 96:104
დენვერი-ორლანდო 108:105
გოლდენ სტეიტი-მემფისი 87:94
კლიპერსი-დალასი 99:93

ჩოგბურთი

ატპ. სიდნეი. ჰარდი

ანდერსონი-ისტომინი 6:4;6:3
ბენეტო-ჰარისონი 6:4;6:2
ტომიჩი-ნიემინენი 6:7;6:4;6:2
სეპი-გრანოლერსი 6:4;7:5

ატპ. ოსლენდი. ჰარდი

კოლ შრაიბერი-მალისე 7:6;6:4
კიურეი-ლევაინი 6:4;7:6
ფერერი-ლაცკო 6:2;6:1
ჰაასი-მონფილსი 6:3;5:7;3:6

ვტა. სიდნეი. ჰარდი

რადვანსკა!ა.-ლი 7:3;6:4
კერბერი-ციბულკოვა 2:6;6:4;3:6

ვტა. მეხიდა ჰობარტი. ჰარდი

ვესნინა-გაიდოშოვა 6:3;6:2
ბარტელი-პირონკოვა 6:3;6:3
სტივენსი-დეივისი 6:3;4:6;7:5
ფლიპკენსი-ნიკულესკუ 2:6;6:4;6:0

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

საშობაო გამოფენა ფოლკლორის ცენტრშია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში საშობაო გამოფენა მიმდინარეობს, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის დაბადებიდან 80 წლისთავისა და აღსაყდრებიდან 35 წლისთავისადმია მიძღვნილი. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 15 ავტორის, მათ შორის რესტავრატორის, ფილოლოგის, ბიოლოგის, იურისტის, პედაგოგის, ხატმწერის 200-მდე ნამუშევარი: წმიდანთა ხატები, მინიატურები, ხელნაწერები, მოზაიკა, მულაჟი. გამოფენა 10 თებერვალს დაიხურება.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით სპეციალურ მილოცვას ავრცელებს, რომელიც მის უწმინდესობას ეძღვნება: „უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია მეორეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ულოცავს დაბადებიდან ოთხმოც და აღსაყდრებიდან ოცდათხუთმეტი წლის იუბილეს. უფალს შევთხოვთ დიდხანს, ძალიან დიდხანს ბრძანდებოდეთ ქართველთა სულიერი მამა და წინამძღვარი, ნათლითა და სიბრძნით ატაროთ ქართველი ერი. ღმერთმა ისმინოს თქვენი მხურვალე ლოცვა, გადაარჩინოს და გაამთლიანოს საქართველო“.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საახალწლო მილოცვასაც ავრცელებს და აღნიშნავს: „საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი მთელ საქართველოს, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, ქართული ფოლკლორის შემოქმედთ, ფოლკლორისტებს, ქართული ფოლკლორის გულშემატკივრებსა და მოყვარულებს ულოცავს ახალ – 2013 წელს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მომავალი წელი ყოფილიყოს საქართველოს გაერთიანებისა და გამთლიანების, სიუხვისა და ბარაქის წელი. ღვთის წყალობას, დიდ სიხარულსა და წინსვლას ვუსურვებთ ჩვენს სამშობლოს.

ფოლკლორის ცენტრი და მისი ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი ბევრს მუშაობენ იმისთვის, რომ საქართველოში ფოლკლორის პოპულარიზაცია მოხდეს. ცენტრის ფარგლებში ფუნქციონირებს ფოლკრადიო, რომელშიც ცნობილ ადამიანებს თავისი საავტორო გადაცემები მიჰყავთ. გიორგი უშიკიშვილის საავტორო პროექტის წლის ბოლო გადაცემაში მასპინძელმა ბევრი სტუმარი მიიწვია, მათ შორის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიმართულების ხელმძღვანელები, სადაც გასული წლის მუშაობა შეჯამდა და შეფასდა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა „მეგობართა კლუბის“ პრეზენტაცია მოაწყო. კლუბში გაერთიანდნენ, ხელმოწერითაც დაადასტურეს და ქართული ფოლკლორის მეგობრები გახდნენ ქართული კულტურისა და ხელოვნების ცნობილი სახეები და მოღვაწეები ნინო ანანიაშვილი, მარიკა კვალიაშვილი, ლიზა ბაგრატიონი, დავით დოიაშვილი, მანანა დავითაშვილი, ბაკურ სულაკაური, ფრიდონ სულაბერიძე, რეზო ჭანიშვილი, თენგიზ უთმელიძე, ომარ მხეიძე, ერეკლე საღლიანი, ლელა თათარაიძე, ამირან არაბული, მზეო გოგოჭური, ციცო ერისთავი, თამაზ სანიკიძე, რადიშ თორდია, ნანული აზიკური, დავით შუღლიაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი. ცნობილი ადამიანებისა და სპეციალისტების ნაწილმა, რომლებმაც ვერ შეძლეს პრეზენტაციაზე მოსვლა, ელექტრონული გზავნილით გამოთქვეს კლუბში გაერთიანების სურვილი.

– ჩვენს კლუბში გაერთიანდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ქართული ფოლკლორის მესვეურები და მოყვარულები, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ფოლკლორის მოვლა, დაცვა, და პოპულარიზაცია, მისი დღევანდელი დღე და მომავალი. ვინც იცის, რომ ქართული ფოლკლორი საზოგადოების დიდი ყურადღებისა და სახელმწიფოს ზრუნვის გარეშე თავის თავს ვერ გადაირჩენს და ვერ მოუვლის. ფოლკლორის ცენტრის ,,მეგობართა კლუბი“ წელიწადში რამდენიმეჯერ შეიკრიბება და მისი წევრები სისტემატურად მიიღებენ ინფორმაციას ფოლკლორის ცენტრის მუშაობის შესახებ, ჩაერთვებიან ერთობლივ ღონისძიებებში, თავიანთი საქმიანი რჩევებით, რეკომენდაციებითა და წინადადებებით ხელს შეუწყობენ ცენტრის მუშაობის გაუმჯობესებას, საზოგადოებისათვის უფრო გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს გახდიან მის საქმიანობას. გაიცვლება ინფორმაციები, ქართულ ინტელიგენციასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან დამყარდება მჭიდრო ურთიერთობა. კლუბის წევრებს გადაეცემათ ცენტრის გამოცემები, მუსიკალური ალბომები, კატალოგები. მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია ცენტრის პრიორიტეტების, ღონისძიებების, პროექტებისა თუ ექსპედიციების შესახებ. თავადაც მონაწილეობას მიიღებენ ექსპედიციებში, იმოგზაურებენ რეგიონებში, რაიონებსა და სოფლებში, ადგილებზე გაეცნობიან ფოლკლორში არსებულ ვითარებას. ,,ქართული ფოლკლორის მეგობართა კლუბის“ წევრებს შეეძლებათ ცენტრის ინფრასტრუქტურა და შემოქმედებითი ძალები, იქნება ეს საკონფერენციო, საპრესკონფერენციო და საგამოფენო დარბაზები, ასევე ხალხური შემოქმედების ბაღი უსასყიდლოდ გამოიყენონ თავიანთი ღონისძიებებისა და პროექტების განსახორციელებლად, – ნათქვამია ფოლკლორის ცენტრის განცხადებაში. ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი და მისი ანსამბლი „ლაშარი“ ,,ქართული ბრენდის დღეზე“ დაჯილდოვდნენ. სასტუმრო შერატონ მეტეხი-პალასში გამართულ რიგით მეათე საიუბილეო დაჯილდოების ცერემონიალზე გირგი უშიკიშვილი და მისი ანსამბლი ქართული ფოლკლორის შენარჩუნებასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ნომინაციაში ,,რეპუტაცია და ნდობა“ დაჯილდოვდა. ნომინანტებს გადაეცათ სიგელი და ,,ქართული ბრენდის დღის“ ემბლემა – სტატუეტი.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკის მიმართულება ეტაპობრივად აწყობს ექპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და იქ ჩაწერილ უნიკალურ ფოლკლორულ ნიმუშებს ფართო საზოგადოებას აცნობს. ამჯერად ფოლკლორის ცენტრის მუსიკალურმა მიმართულებამ მოაწყო ერთდღიანი ექსპედიცია დმანისში. ექსპედიციის წევრები იყვნენ ნანა ვალიშვილი (ხელმძღვანელი), თეა კასაბური და დმანისის ფოლკლორული ანსამბლის „შგარიდას“ ხელმძღვანელი გურგენ გურჩიანი. ექსპედიციამ უხუცესი ეთნოფორებისგან ჩაიწერა საუბარი უძველესი სვანური საშობაო-საახალწლო, საგაზაფხულო და სამგლოვიარო რიტუალების შესახებ, ასევე, მუსიკალური ნიმუშები ამ რიტუალებიდან – ქალთა და მამაკაცთა დატირებები, ამინდის მართვის სიმღერა, აკვნის ნანა, საფანდურო დასაკრავი და სხვა. ექსპედიციის ფარგლებში ჩაწერილ იქნა სულ სამი საათის ხანგრძლივობის აუდიო და ვიდეო მასალა.

ფოლკლორის ცენტრმა თავისი საგამოფენო სივრცე საქართველოს პენსიონერთა კავშირში გაერთიანებულ თვითნასწავლ პენსიონერ ოსტატთა შერეულ ნამუშევრებს დაუთმო, სადაც გამოიფინა სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის 23 პენსიონერის 100-მდე ნამუშევარი – ფერწერა, გრაფიკა, ვიტრაჟი, კერამიკა, ტიხრული მინანქარი, ნაქსოვი სამოსი, ტრადიციული ქარგულობა, სათამაშოები. გამოფენის ორგანიზატორები საქართველოს პენსიონერთა კავშირი და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი იყვნენ

მომღერლისა და მესაკრავის, თუშური სიმღერებისა და მელოდიების უბადლო შემსრულებლის ლელა თათარაიძის თუშური ჰანგები კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში აჟღერდა და ამ შემოქმედებითი საღამოს ორგანიზატორი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი გახლდათ. ლელა თათარაიძემ ფანდურსა და გარმონზე შეასრულა ხალხურ, ვაჟა-ფშაველას, ანა კალანდაძის, იოსებ ბაიშვილის, ეთერ თათარაიძის, მანანა ჩიტიშვილის, ტარიელ ხარხელაურის ლექსებზე შექმნილი საკუთარი სიმღერები – 15 სოლო და 10 ანსამბლებთან ერთად, თუშური დასაკრავები და მელოდიები. მომღერალმა მსმენელები კიდევ ერთხელ გააოცა თავისი არაჩვეულებრივი, უნაკლო ხმით, შესრულებისა და დაკვრის უჩვეულო მანერითა და სტილით. კონცერტში მონაწილეობდნენ ელენე თათარაიძე, კვარტეტი „კეესანე“, ანსამბლები „ივერონი“, „ლომისი“, „მთიები“, „ლაშარი“. ლელა თათარაიძისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ეთერ თათარაიძემ, თემურ ჩალაბაშვილმა და ერეკლე საღლიანმა. ეთერ თათარაიძის ლექსზე შექმნილი ლელა თათარაიძის სიმღერა „მწირულა“ შეასრულეს გიორგი უშიკიშვილმა, ლელა თათარაიძემ და ანსამბლმა „ლაშარმა“.

– ლელა თათარაიძის შემოქმედებითი ცხოვრების გზა მრავალფეროვანი და მრავლისმომცველია. ის არის ოცზე მეტი სიმღერის ავტორი, მრავალი ოლიმპიადისა და ფესტივალის ლაურეატი და ოქროს მედალოსანი, სხვადასხვა სპექტაკლისა და მხატვრული ფილმის მუსიკალური გამფორმებელი და შემსრულებელი, მათ შორის, გოდერძი ჩოხელის ფილმების უმეტესობა, გიგა ლორთქიფანიძის „წიგნი ფიცისა“, სერგო ფარაჯანოვის „სურამის ციხე“, ნუგზარ ლორთქიფანიძის „წუთისოფელი ასეა“ და სხვა ფილმები, შვიდი აუდიოალბომის ავტორი, აქედან სამი სოლო, ასევე ტრიოსთან, ანსამბლებთან „კესანესა“ და „კელაპტართან“ ერთად, „ვერცხლის თასადაც მაქცია“, „დილის ჯანღი“, „დილის სალბუნი“, „სამციხის ღამე“. ლელა თათარაიძის სიმღერების აუდიოდისკი მეუფე ზენონის (იარაჯულის) შესრულებით „ვით მზე მოსული დილითა“. იგი არის „2006 წლის საუკეთესო ადამიანი“, საფრანგეთის ქალაქ დომ-რემის საპატიო მოქალაქე და ღირსების ორდენოსანი. შემოქმედებით საღამოზე მან შემოგვთავაზა პოპულარული საავტორო სიმღერები, თუშური ჰანგებისა და სიმღერა-დასაკრავების თავისეული განუმეორებელი ვარიანტებით, – აღნიშნულია ფოლკლორის ცენტრის განცხადებაში.

ფოლკლორის ცენტრმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამო ,,ლექსო, არ დაიკარგები“ კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში წარმოადგინა. ღონისძიება ვახტანგ კოტეტიშვილის 120 წლისთავისამი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა. საღამო გახსნა ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა. საღამოს უძღვებოდნენ ფოლკლორისტები ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული. მასში კი მონაწილეობდნენ ხევისბერი ბეწიწურ არაბული (თეთრინწყლები), თაძია სისაური, მზია ჯიმშიტაშვილი, ნინო, მართა, მაია ჭინჭარაულები, ბუბა სორდია, თეკლე ბადრიშვილი, ფერეიდნელი ქართველი საიდ მულიანი, თინა რეხვიაშვილი, გოგიტა არაბული, ნოდარ ოდიშელიძე, თენგო ავსაჯანიშვილი, ბაბალე ალუდაური, გიორგი არაბული, ზეზვა მედულაშვილი. ასევე ფოლკლორული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები ლელა თათარაიძე, ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირის მოცეკვავეთა ანსაბლი, პოლიკარპე ხუბულავა და ანსამბლი ,,ოდოია“; ლენტეხის ანსამბლი ,,მიჟე ნარი“, საგარეჯოს რაიონის, სოფელ კაკაბეთის ანსამბლი ,,ბერიკაცები“ და ანსამბლი „ძირიანი“ თორნიკე სხიერელის ხელმძღვანელობით. საღამოზე წაიკითხეს ვახტანგ კოტეტიშვილის უცნობი ჩანაწერები, ალექსი ჭინჭარაულის არქივიდან კაფია-გალექსებანი, მზექალა გიგაურის ლექსი ,,აქით ჯუთამდე“, ვახუშტის მიმართვა და უკანასკნელი ლექსი.

– ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამოში ,,ლექსო, არ დაიკარგები“ მონაწილეობა მიიღეს მელექსეებმა საქართველოს ყველა კუთხიდან, ავთენტიკურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

მაყურებელმა პირველად მოისმინა ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ შეკრებილ დღემდე გამოუქვეყნებელი ხალხური პოეზიის ნიმუშები. ეს საღამო ჩატარდა დიდი ქართველი მეცნიერის, ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვახტანგ კოტეტიშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეების ფარგლებში, – განმარტა ეთერ თათარაიძემ.

პოლონელმა ჟურნალისტებმა პარლამენტში ასაფეთქებელი ნივთიერება შეიტანეს

ყოველკვირეული პოლონური გამოცემა „ვპროსტის“ ინფორმაციით, ტელეკომპანია „ტევეპეს“ ჟურნალისტებმა პოლონეთის სეიმის ქვედა პალატაში 3 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება შეიტანეს.

გამოცემის თანახმად, ჟურნალისტებს ხელისუფლებისთვის სურდათ დაემტკიცებინათ, რამდენად დაუცველია პარლამენტი ტერორისტული აქტებისგან. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჩემოდნით, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო, უპრობლემოდ გაიარა პარლამენტის დაცვა, შევიდა დარბაზში და წინა რიგებში სკამზე დატოვა ჩემოდანი. ჟურნალისტების მტკიცებით, არც ისეა დაცული პარლამენტის შენობა, როგორც ამას პოლიტიკოსები ამტკიცებენ. პარლამენტის სეიმის სპიკერმა ევა კოპაჩმა, რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, რომ პარლამენტის შენობა დამატებითი დაცვის ხარჯებს არ საჭიროებს.

სეიმი პოლონეთის ეროვნული ასამბლეის ქვედა პალატაა. სეიმი შედგება 460 დეპუტატისგან. ირჩევა საერთო არ-

ჩევნებით და მას ხელმძღვანელობს მარშალი.

მეოცე საუკუნემდე სიტყვა „სეიმი“ აღნიშნავდა პარლამენტის სამივე პალატას. პოლონეთის პარლამენტი მოიცავდა ქვედა პალატას (დესპანების პალატა), ზედა პალატას (სენატი) და მეფე. პოლონეთის მეორე რესპუბლიკიდან (1918-1939) მოყოლებული, „სეიმი“ აღნიშნავს მხოლოდ ქვედა პალატას.

გ. მ.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ჰიმნებისა და საგალობლების კრებული ქართულ მწერლობაში; 2. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 3. ტყვიის შემცველი მინერალი; 4. უმაღლესი თანამდებობის პირთა სათათბირო ძველ საბერძნეთში; 7. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 8. დიქტატორ ფრანკოს მეტსახელი; 12. უზბეკეთის დედაქალაქი; 14. გზაგამტარი ხიდი; 16. ახალი წლის სახელწოდება გურიაში; 17. ქალაქი სამეგრელოში; 19. აზიაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 20. აეროპორტი პარიზში.

თარაზულად: 5. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 9. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 10. წყალგარეული ღვინო; 11. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 13. ირანის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 15. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18. მეცხოველეობის ფერმა აშშ-ში; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 22. მონასტერი ყვარლის რაიონში; 23. ხელით სასროლი ფეთქებადი ჭურვი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფოტონი; 2. ხამონი; 3. ბოლივუდი; 4. ტრიუმი; 6. აერობუსი; 8. ფიკუსი; 11. პასადენა; 12. მუშაითი; 16. ჰალვა; 17. მაცნე; 18. ზუბრი.

თარაზულად: 1. ფერხისა; 5. კოკაი; 7. კონკური; 9. ოოლოგია; 10. მურილიო; 13. სანდალი; 17. იანუსი; 15. „შუმი“; 19. ვახშამი; 20. რაფინადი; 21. „მაკლარენი“; 22. ზაჰესი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბურგასი; 2. დილემა; 3. რიქსდაგი; 4. ბირთვისი; 7. კათარზისი; 8. ესტაფეტა; 12. ლომბარდი; 14. კონკლავი; 16. ხაფანგი; 17. ინგლისი; 19. კოლო; 20. „ალია“.

თარაზულად: 5. კუპიდონი; 6. დრიბლინგი; 9. ჩაპალა; 10. მწვადი; 11. ოტიტი; 13. გორდი; 15. პოლაკი; 18. ფაცხა; 21. „კალვადოსი“; 22. ნეოლითი; 23. მოდერნი.

საუდის არაბეთში 15 წლის გოგონა 70 წლის მამაკაცზე გაათხოვეს

საუდის არაბეთში მცხოვრები 15 წლის გოგონა მშობლებმა ცოლაა 70 წლის მამაკაცს 20.000 აშშ დოლარად ცოლად გაატანეს. აღნიშნული შემთხვევა პროვინცია ჟიზანში მოხდა. ხანდაზმულმა მამაკაცმა სახელმწიფო ორგანოებს მიმართა იმისათვის, რათა 15 წლის გოგონასთან ქორწინება გაეფორმებინა.

მამაკაცმა განაცხადა, რომ გოგონას მშობლებმა მათ ქორწინებაზე თანხმობა განაცხადეს. მან პატარძალში 20 000 აშშ დოლარი გადაიხადა.

თუმცა გარიგების შემდეგ გოგონამ უარი განაცხადა ხანდაზმული მამაკაცი ქმრად ეღიარებინა, მისმა მშობლებმა კი გოგონას დაბრუნება გადაწყვიტეს. ამან მამაკაცში აღშფოთება გამოიწვია, მან განაცხადა, რომ ოჯახმა გადაწყვიტა თანხა თავისთვის დაეტოვებინა და ქორწილი არ გადაეხადა.

ამ საქმის გარჩევაში ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია ჩაერთო. მათი განცხადებით, გოგონასა და მის ხანდაზმულ ქმარს შორის ჩხუბი მოხდა, რის შემდეგაც გოგონამ მშობლებთან გაქცევა გადაწყვიტა. ამჟამად ეს საქმე ამ კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

საუდის არაბეთი, ოფიციალურად ცნობილი როგორც საუდის არაბეთის სამეფო, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე რელიგიური და ჩაკეტილი ქვეყანაა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ არაბეთის ნახევარკუნძულზე არსებული ორი მთავარი, დამოუკიდებელი სახელმწიფო: ჰიჯაზი და ნეჯდი გაერთიანდა, ახლადშექმნილ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა ნეჯდის სულთანი – საუდი, აქედან წარმოიშვა ქვეყნის დღევანდელი სახელი.

ავღანელები ქვეყნიდან ამერიკის ჯარების შესაძლო სრულ გაყვანას კატასტროფად აფასებენ

„როიტერის“ ცნობით, გუშინ ავღანელმა კანონმდებლებმა განაცხადეს, რომ თუ ვაშინგტონი 2014 წლის შემდეგ ჯარების სრულად გაყვანას გადაწყვეტს, ეს ქვეყნისათვის კატასტროფა იქნება და აღნიშნულს სამოქალაქო ომი მოჰყვება.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ამერიკა 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ამერიკული ჯარების ყოფნის ე.წ „ნულოვან ვარიანტასაც“ განიხილავს, რაც ნიშნავს რომ მას შემდეგ რაც ქვეყანას ნატოს ძირითადი ძალები დატოვებენ, აქ ამერიკული ჯარები საერთოდ აღარ დარჩებიან. ავღანეთისა და ამერიკის პრეზიდენტები, რომლებიც მალე შეხვდებიან ერთმანეთს, სავარაუდოდ ამ საკითხის შესახებაც იმსჯელებენ.

„თუ 2014 წლის შემდეგ ამერიკა ქვეყნიდან ჯარებს სრულად გაიყვანს, ქვეყანაში 1990-იანი წლების მსგავსი სამოქალაქო ომი განმეორდება. ეს კი „თალიბანის“ წისქვილზე ასხამს წყალს“, – განაცხადა ნაემ ლაღმა – კანონმდებელმა ყანდაღარის პროვინციიდან, რომელიც „თალიბანის“ სამშობლოდ მიიჩნევა. შეგახსენებთ, რომ თეთრი სახლის წარმომადგენლებმა პირველად წარმოადგინეს ვარიანტი, რომლის მიხედვითაც 2014 წლის მერე, მას შემდგომ რაც ავღანეთს ნატოს ძირითადი ძალები დატოვებენ, ქვეყანაში, ამერიკული ჯარები საერთოდ არ დარჩება.

ეროვნულ უსაფრთხოებაში ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას მრჩეველის თანაშემწემ ბენ როდსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ობამას ადმინისტრაცია არაერთ ვარიანტს განიხილავს, მათ შორის შედის „ნულოვანი ვარიანტიც“.

შეგახსენებთ, რომ ვაშინგტონში ცოტა ხნის წინ ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი ჩავიდა, რომელიც ამერიკის პრეზიდენტს და სხვა მაღალჩინოსნებს შეხვდება.

ამ დროისათვის ავღანეთში 68 000 ამერიკელი სამხედრო იმყოფება. მთლიანად ნატოს კონტინგენტი 102 000 სამხედროსაგან შედგება.

სამგლოვიარო განცხადებები



ომარ ჭავჭანიძე, ჯემალ ქუნთელია, გურამ მღვდელაძე, თემურ ცერცვაძე, გივი ძმანაშვილი, ჯუმბერ გუგუშვილი, ნოდარ ვაშაკიძე, მახარე ბარნოვი, თენგიზ კერესელიძე, ხანგიზ ქუნთელია, იური დათუკიშვილი მწუხარებით იუწყებიან მეგობრის

ნოდარ მაჩაიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

პანაშვიდი: 11, 12 იანვარს.

დაკრძალვა: 13 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: მცხეთის ქუჩა №8.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

იულია ტიმოშენკომ უკრაინის ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა

იულია ტიმოშენკომ უკრაინის ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. უკრაინის ყოფილი პრემიერის ღია წერილი პარტია „ბატკივშინას“ ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნდა.

წერილში ტიმოშენკო ვიქტორ იანუკოვიჩს მის საკანში დაყენებული კამერების გაუქმებას სთხოვს, პრეზიდენტს „უკრაინოფობიასა და ევროპული ღირებულებების ღალატში“ ადანაშაულებს და აცხადებს, რომ წინააღმდეგობას გაუწევს ბადრაგს მისი სასამართლოს დარბაზში, საავადმყოფოში ან დაკითხვებზე გაყვანისას.

ამასთან, იულია ტიმოშენკომ მთელი ღამე აბაზანაში გაატარა. ის აცხადებს, რომ უარს ამბობს გამომძიებლებთან და პროკურორებთან ურთიერთობაზე. ასევე ყოფილი პრემიერი უარს ამბობს სასამართლოში მისვლაზეც.

ტიმოშენკო აცხადებს, რომ მისი სასამართლოში მიყვანის სურვილის შემთხვევაში, ის ყველას ფიზიკურ წინააღმდეგობას გაუწევს და არ აპირებს პალატაში დაბრუნებას, მანამდე, სანამ იქ ვიდეოკამერები იქნება.

პარალელურად ტიმოშენკოს მხარდამჭერებმა მთელს მსოფლიოში აქციები გამართეს. პარიზში, ამსტერდამსა და პრაღაში, ცენტრალურ მოედნებზე მათ პლაკატები გააკრეს და საერთაშორისო საზოგადოებას უკრაინის ყოფილი პრემიერის მხარდაჭერისკენ მოუწოდეს.

შეგახსენებთ, უკრაინის ყოფილი პრემიერი თანამდებობის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.

პროკურატურამ მას 2009 წელს გაზის კონტრაქტების გაფორმებისას კანონდარღვევაში დაადანაშაულა, რის გამოც უკრაინულმა სასამართლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ამ ფონზე, უკრაინის ექს-პრემიერის წინააღმდეგ კიდევ ერთი საქმე აღიძრა. ამჯერად მას ბრალი 1990-იან წლებში 405 მილიონი დოლარის გაფლანგვაში ედება. უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით, ბრალდება 12 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ხარკოვის პროკურატურის განცხადებით, კი ყოფილი ექს-პრემიერი, რომელიც მკურნალობის კურსს ამჯერად საავადმყოფოში გადის, მაქსიმალურად ცდილობს სასამართლო მსვლელობის გაჭიანურებას.

იემენში ამერიკის სამხედრო ინტერვენციის მიზეზი ნავთობის საბადოების აღმოჩენა გახდა

ტელეკომპანია „სქაი ნიუსის“ განცხადებით, იემენში ამერიკის სამხედრო ინტერვენციის მიზეზი ნავთობის უდიდესი საბადოების აღმოჩენა გახდა. ამის შესახებ ლიბანური გამოცემები: „ად დიარი“ და იემენური „იემენ პოსტი“ წერენ.

„სქაი ნიუსის“ ინფორმაციით, იემენური ნავთობის რეზერვები იმდენად დიდია, რომ ქვეყანას მსოფლიო მწარმოებლებს შორის პირველი ადგილის დაკავება შეუძლია.

„საუბარი ეხება ნავთობის გლობალური საბადოების 34%-ს. იემენს თავისუფლად შეუძლია 10 მილიონი ბარელი ნავთობის მოპოვება დღეში. მსგავსი ინფორმაციას იემენის ომს სხვა კუთხით წარმოაჩენს“, – ნათქვამია სტატიაში.

გამოცემა „ად დიარის“ მიხედვით, იემენის რეზერვების აღმოჩენის შემდეგ, მის მიმართ დაინტერესება გამოთქვეს ამერიკულმა, ბრიტანულმა და რუსულმა კომპანიებმა.

„საუდის არაბეთმა, რომელმაც გააცნობიერა, რომ ახალი საბადოების აღმოჩენა მას მეორე ადგილას გადააადგილებდა, შეეცადა გარიგება დაედო – წელიწადში 10 მილიარდი დოლარი, უახლოესი 50 წლის განმავლობაში იემენის ნავთობის მოპოვების უფლებისთვის, თუმცა სალეჰი და მისი მომხრეები არ დასთანხმდნენ აღნიშნულს.

ამას გარდა, სალეჰზე მომხდარი თავდასხმისა და მისი მძიმედ დაჭრის შემდეგ, ის და მისი ხალხი ქვეყნის ხელმძღვანელობას ჩამოსცილდა. სალეჰის გარემოცვიდან ხელისუფლებაში დარჩენილი ერთადერთი ადამიანი – ეს დაზვერვის ხელმძღვანელი აბდულ ალ-აჰმადია, რომელიც ამავე დროს, ამერიკელებთან კარგი ურთიერთობით არის ცნობილი“, – ნათქვამია სტატიაში.

„ამჟამად, ამერიკელები იემენის ნავთობისთვის ბრძოლაში იმარჯვებენ. თუმცა, არის ერთი დიდი პრობლემა, რომელიც უახლოესი 20 წლის განმავლობაში მოვლენების განვითარებას აუცილებლად განსაზღვრავს. იემენის მოსახლეობის 34-37% შიიტები არიან, ხოლო ნავთობი სწორედ შიიტებით დასახლებულ რაიონებშია აღმოჩენილი. ნებისმიერი სახელმწიფო, რომლის ინტერესებში იემენში ამერიკის ჰეგემონია არ შედის (ასეთია რუსეთი), ამით აუცილებლად ისარგებლებს“, – წერს გამოცემები.

იემენის რესპუბლიკა მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით. არის ახლო აღმოსავლეთის ნაწილი. ესაზღვრება ომანსა და საუდის არაბეთს. ასევე აქვს გასავლელი წითელსა და არაბეთის ზღვებში. აზიის ამ ულამაზეს მხარეში ტურისტების მიზიდვის მთავარი წყარო დედაქალაქში გამეფებული ღამის ცხოვრებაა. მის დედაქალაქ სანას უწოდებენ ქალაქს, რომელსაც არასდროს სძინავს. იქ სანახავი და დასათვალიერებელი მართლაც რომ ბევრია.

სანაში ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი ჩადის ასობით უძველესი სამლოცველოს სანახავად. მათი უმრავლესობა ძირითადად ევროპისა და აზიის ქვეყნებიდანაა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მსოფლიოს სხვა შორეული კუთხეებიდან მოფრინავენ საოცრების დასათვალიერებლად.

თურქეთი და რუსეთი სირიის საკითხს განიხილავენ

თურქეთი სირიის საკითხის გადაჭრის ახალი ინიციატივით გამოდის. როგორც თურქული მედია იუწყება, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ფირიდინ სინიიროღლუ რუსეთში ვიზიტს სირიის კრიზისის განსახილველად გეგმავს. ელოდებიან, რომ თურქი დიპლომატი მოსკოვს კრიზისის გადაჭრის საკუთარ გეგმას წარუდგენს.

სინიიროღლუ მოსკოვში მოლაპარაკებებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, მიხელ ბოგდანოვთან გამართავს. როგორც საერთაშორისო წარგზავნილმა სირიაში, ლახარდ ბრახიმმა განაცხადა, თუ ქვეყანაში კრიზისი წელს ვერ მოგვარდა, ის მთლიანად განადგურდება. ბრახიმმა, „ბი-ბი-სისთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ბაშარ ასადის გამოსვლამ, სადაც მან შეიარაღებული კონფლიქტის დამნაშავეებად მეამბოხეები და ტერორისტები გამოაცხადა, კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაართულა.

ამ ფონზე, სირიელმა მეამბოხეებმა, რამდენიმედღიანი შტურმის შემდეგ, სირიის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა „ტაფტანაზზე“ შეჭრა მოახერხეს. ბაზა ქალაქ იდლიბიდან 15 კილომეტრშია განთავსებული.

„იუთუბზე“ კი გამოჩნდა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ შეიარაღებული ოპოზიციონერები ბაზის ნაწილს აკონტროლებენ, თუმცა, სროლები ჯერ კიდევ გრძელდება. ბაზა ამ დროისათვის მთლიანად ბლოკირებულია და ვერტმფრენები აფრენას ვერ ახერხებენ.

თავად მეამბოხეების განცხადებით, შტურმის დროს მათ ადრე მოპოვებული საზენიტო ტყვიამფრქვევები, საარტილერიო იარაღი და ტანკები გამოიყენეს. მსხვერპლის შესახებ ამ დროისათვის ინფორმაცია არ ვრცელდება.

ამ ბაზის დაკავება მეამბოხეებისათვის დიდი წარმატება იქნება, რადგან სამ პროვინციაში სწორედ „ტაფტანაზზე“ განთავსებული ვერტმფრენებიდან ბომბავდნენ. სახელისუფლო მედიამ გასულ კვირას გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ტერორისტებმა“ ბაზის აღება ვერ შეძლეს და სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა სათანადოდ იყო ხელისუფლების მიერ დაცული.

თურქეთის ჰუმანიტარული ფონდის ცნობით კი, სირიის მთავრობამ 2130 მოქალაქე 48 ირანელის სანაცვლოდ ციხეებიდან გამოუშვა. ირანელები ამბოხებულებს ჰყავდათ დატყვევებული.

როგორც ცნობილია, თითქმის უკვე ორწლიან კონფლიქტში ირანი ქვეყნის მთავრობას უჭერს მხარს. ირანული საგენტოების ცნობით, გათავისუფლებულები პილიგრიმები არიან, რომლებიც „ტერორისტებმა აგვისტოში გაიტაცეს“.

„სი-ენ-ენთან“ საუბრისას თურქული ფონდის წარმომადგენელმა ჰუსეინ ორუქმა აღნიშნა, რომ სირიის მთავრობის მიერ გათავისუფლებულებს შორის თურქეთის ოთხი მოქალაქე და ერთი პალესტინელია.

როგორც აღნიშნავენ, გაცვლის შესახებ მოლაპარაკებები სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

პარასკევი 11 იანვარი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.00 „მოამბე“ 10.30 „დილის საუბარი“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ (პ/ე) 15.00 საახალწლო — „გოზინაყი ფართი“ 17.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი“ 21.00 ტ/სერ. „როსელა“ 22.00 „აქცენტები“ 23.30 „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ 00.00 „წითელი ზონა“ 01.00 მხ/ფ „ცხენებსაც ქლავენ“ არა?!“ 03.10 ტ/სერ. „სპირალი“ 04.10 მხ/ფ „როგორ მოკლა მხდალმა როზერტ ფორდმა ჯესი ჯეიმსი“ (ბ.პიტი)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „სიცოცხლე“ 10 ნაწ. 14.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები“ 11 ნაწ. 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 7 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „ოჯახური გამოძიება“ 8 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ/ფ „ბზარი„(ე.ჰოპკინსი)

08.00 ან.ფ. „სალადინი“ მე–17“ 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 09.15 ან.ფ. „სპანჯობი“ მე–8“ 9 სერ. 10.00 სერ. „ინგლიანი მოახლე“ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაძცევა – 3“ 7 სერ. 14.45 სერ. „24 – 4“ მე–5 სერ. 15.45 სერ. „დამალული სიმართლე“ 7 სერ. 17.40 სერ. „თილისმა“ 8 სერ. 18.50, 19.05 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ 23.00 სერ. „ღვინის გზა“ 5 სერ. 00.00 მხ/ფ „ფართო ნაბიჯით“ (დ.ჯონსონი) 01.35 მხ/ფ „წინასწარმეტყველი“ (ნ.კეიჯი) 03.05 მუსიკა

პროგრამაში შესაძლებელია ცვლილებები 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „ქალის მსხვერპლი“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 „შუა დღე“ 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.45 სერ.„მგზნებარე გული“ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 სერ. „მომავლის გაელვება“ 00.00 პოკერის ტურნირი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.45 მხ/ფ „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 პერსპექტივა 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „შეხვედრა მთაში“ 13.30 კონცერტი -ლევ მარკიზი 15.05 განთიადის სტუმარი 16.00 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 16.25 დეკორატიული ფლორა 16.40 მხ/ფ „აურზაური სალხინეთში“ 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „იმერული ესკიზები“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.30 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

მაესტრო 07.00, 02.30, 04.55, 05.55 ახალი ამბები (კოლაჟი) 07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 04.45, 05.25, 06.15 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 17.55, 18.55, 06.50 უკომენტაროდ, ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის „დილა“ 11.30, 22.00, 02.10 „ყოველდღიური აბები“ 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.25 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.30, 00.50 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 03.05 თოქ-შოუ - „პოლიტმეტრი“ 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 იანვარი

აშშ დოლარი — 1,6566

ევრო —2,1842

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870

რუსული რუბლი — 5,3463

ამინდის პროგნოზი 11 იანვრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —2-5, ღამით — -5 -2.

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-13, ღამით — 5-6.

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 6-8, ღამით — -5 -7.

ახალი წლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

„ღმერთი — სამშობლო — ადამიანი“ — ეძღვნება პატრიარქს

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში საზეიმოდ გაიხსნა გამოფენა „ღმერთი — სამშობლო — ადამიანი“, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს მიეძღვნა.

როგორც ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი განმარტავს:

– გამოფენაზე წარმოდგენილია 80-მდე ქართველი მხატვრის მიერ შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, აგრეთვე ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

გამოფენის გახსნაზე დაიგეგმა მუსიკალური ჯგუფის „ჩვენებურები“ მიერ სიმღერის „ალილო“ შესრულება. გამოფენა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში პირველ თებერვლამდე გაგრძელდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ლელა წურწუმია საქართველოდან არ წასულა

მომღერალი ლელა წურწუმია საქართველოდან არ წასულა და არც სომხეთში კარიერის გაგრძელებას აპირებს. უცხოური საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლელა წურწუმიას საქართველოში შრომა არ დაუფასდა და სომხეთში სამუშაოდ წავიდა. მომღერალმა „რუსთავი 2“-ს განუცხადა, რომ ასეთი კომენტარი არც ერთი საინფორმაციო საშუალებისთვის არ მიუცია და არც სომხეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

– როცა ქვეყანას უჭირდა, მაშინ არ წავსულვარ სხვაგან და ახლა რატომ წავალ? არასდროს მითქვამს, რომ მე შრომა არ დამიფასდა, ან საქართველოში ჩემი ადგილი ვერ ვიპოვე. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და მგონი, დაკარგული არ ვარ. ის ინფორმაცია, რაც უცხოურმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს, ტყუილია. მე საქართველოში მაქვს კონკრეტული გეგმები და ამ პროექტებზე აქტიურად ვმუშაობ. არსად წასვლას არ ვაპირებ კარიერის ასაწყობად, მით უფრო სომხეთში, – აღნიშნა მომღერალმა.

რუსულმა სააგენტომ „რეგნუმი“ „1 ნევს აზზე“ დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქართველი მომღერალი, ლელა წურწუმია, მეუღლესთან, პროდიუსერ კახა მამულაშვილთან ერთად, რომელიც მისი პროდიუსერიცაა, სამუშაოდ სომხეთში გადავიდა. სააგენტო იმასაც იტყობინებოდა, რომ წყვილმა საქართველო ორიოდე დღის წინ დატოვა. მათი მტკიცებით, თავის დროზე ქართველ მომღერალს შეთავაზებები სხვა ქვეყნებიდანაც ჰქონდა, მათ შორის მონღოლეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, თუმცა არჩევანი მან საქართველოსთან უახლოეს ქვეყანაზე – სომხეთზე გააკეთა, რომ ახლობლებთან შედარებით ახლოს ყოფილიყო.

როგორც „რეგნუმმა“ გაავრცელა ინფორმაცია, საქართველოდან გამგზავრების წინ ლელა წურწუმიამ განაცხადა, რომ მისი შემოქმედება საქართველოში სათანადოდ ვერ დააფასეს, სწორედ ამიტომ მან საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და შემოქმედებითი კარიერის მოწყობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უფრო „გაშლილ სივრცეში“ გადაწყვიტა. მისი თქმით, საქართველოში არათუ შოუბიზნესი არ არსებობს, არამედ ერთი ღირსეული ალბომის ჩაწერაც კი ვერ ხერხდება იმის გამო, რომ ბაზარზე მისი რეალიზაცია შეუძლებელია.

ლელა წურწუმიას საქართველოდან წასვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, საზოგადოებაში მაშინვე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ნაწილმა მიიჩნია, რომ მომღერალი სწორად მოიქცა და საკუთარი შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასა, მეორე ნაწილმა კი ჩათვალა, რომ ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი მომღერალი ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას გაექცა და ახალ მთავრობასთან ერთად ცხოვრება არ ისურვა. ეს მოსაზრება იმითაც გაამყარეს, რომ მომღერალთან დაკავშირებით გარკვეული პერიოდის წინ ჭორი გავრცელდა ლელა წურწუმიას მანქანა დაუკაწრესო. მაშინ ლელას მეუღლემ და-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. სამიჯნურო ხასიათის ოთხსტრიქონიანი სპარსული ლექსი; 2. მუსიკალური ინტერვალი; 3. შვედი კინორეჟისორი; 4. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 8. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 11. სახელმწიფო აფრიკაში; 12. ფრანგი კომედიოგრაფის პოკლენის ფსევდონიმი; 16. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 17. ლოყა ანუ ...; 18. საკონდიტრო ნაწარმი.

თარაზულად: 1. ბრიტანელი მაგნატი, საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებელი; 5. რაიმე შემთხვევის შემსწრე, მნახველი; 7. მედიცინეს ერთ-ერთი დარგი; 9. მეცნიერის, ფილოსოფოსის, ექიმის იბნ-სინას მეორე სახელი; 10. სპეკულაციური გარიგება ბირჟაზე; 13. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 14. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 15. შაქრის ლერწმისგან მომზადებული სპირტიანი სასმელი; 19. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 21. შემაგრებული ღვინო; 22. სამკურნალო ტალახით მდიდარი ზღვის თხელი სანაპირო ზოლი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ფაჩულია ისევ სასტარტოში გამოჩნდა

ზაზა ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე 2 ქულა დააკლდა. „ატლანტას“ ქართველმა ცენტრმა კლივლენდში წაგებულ მატჩში სასტარტო ხუთეულში ითამაშა და თავი არ შეურცხვენია, თუმცა ატლანტელებმა მთლიანობაში ითამაშეს ცუდად და საბოლოოდ უშანსოდ – 83:99 დამარცხდნენ.

ფაჩულიამ ხუთეულში ტრავმირებული უკანახაზელის, დეშონ სტივენსონის ნაცვლად ითამაშა. ანუ ატლანტელები 3 მეფარით დაუპირისპირდნენ „კლივლენდს“, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. მასპინძლებს აკლდათ ტრავმირებული ანდერსონ ვარეჯაო, რომელიც საშუალოდ 14,4 მოხსნით ლიგის ლიდერია, თუმცა თავის საქმეს კარგად გაართვეს თავი მასპინძელთა მეფარებმა – ტრისტან ტომპსონმა, ახალბედა ტაილერ ზელერმა, ხოლო გამთამაშებელმა კაილი ირვინმა 33 ქულა მოინაგრა და კლივლენდელებს იოლად გაამარჯვებინა.

ეს „ატლანტასთვის“ ზედიზედ მე-4 მარცხი იყო და ჯორჯიელებმა დაკარგეს კიდეც აღმოსავლეთ კონფერენციის მე-3 ადგილი, სადაც ბოლო 2 კვირაზე მეტია, იმყოფებოდნენ. ატლანტელებს გადაუსწრო „ინდიანამ“ და „ჩიკაგომ“, რის შემდეგაც ფაჩულიას გუნდი მე-5 ადგილზე ჩამოქვეითდა.

ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში 26 წუთი ითამაშა და 7-დან 4 ორქულიანი ჩააგდო. 8 ქულას ზაზამ 10 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიამატა, ბურთი კი 3-ჯერ დაკარგა. ატლანტელთაგან საუკეთესო შედეგი ჯოშ სმიტს ჰქონდა, რომელმაც 36 წუთში 17 ქულა, 8 მოხსნა, 6 დაფარება და 4 პასი მოინაგრა.

მ. ჟ.

ყველამ გაითვალისწინეთ! **წარმატებული დღეა**

ასტროპროგნოზი 11 იანვრისთვის

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** – თავს ნურავის მოატყუებინებთ, ფრთხილად იყავით. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, შენაძენით კმაყოფილი ხართ. **ლომი** – თქვენს ცხოვრებაში სიახლეა. **ქალწული** – ახალი პროექტი გაამართლებს. **სასწორი** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ღრიანკალი** – იმიჯის შეცვლა ნამდვილად კრგია, იფიქრეთ ამაზე. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – პრობლემას ადვილად გადაჭრით, ყველაფერი კარგად იქნება. **მერწყული** – სიკეთეს აკეთებთ, დაგიფასდებათ. **თევზები** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ, ბედი გწყალობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!